# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 21 ნოემბერი 2007 №270 (3193) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## GEORGIA NON GRATA

### ავსტრიელებმა სტრადივარიუსი გაგვიხსენეს და... ევროპის ჩემპიონატი მოგვპარეს

დღეს ქართველი ძიუდოისტები ავსტრიაში უნდა გაფრენილიყვნენ. შაბათ-კვირას ზალცბურგი 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ტურნირის ფავორიტი საქართველოს ნაკრები იქნებოდა, ბორია ფირცხელიანის შეგირდებს შვიდივე წონაში მედლებისთვის უნდა ებრძოლათ, მაგრამ... სავიზო პრობლემების გამო მხოლოდ შედეგების გაგებით მოუწევთ დაკმაყოფილება.

„ევროპის ჩემპიონატისთვის სამზადისი ეს-ესაა, დავასრულეთ — გვითხრა გუშინ ბორია ფირცხელიანმა — ბიჭები ისეთ ფორმაში არიან, ზალცბურგიდან ბლომად მედლები უნდა წამოგველო. სამწუხაროდ, მათ ტატამზე გასვლის უფლება წაართვეს. ვინ არ ჩავრიეთ საქმეში, ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო თუ ევროპის ძიუდოს ფედერაცია, მაგრამ ავსტრიელებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს. როგორც ჩანს, ქართველი კაცის რეპუტაცია იმ ქვეყანაში ისეა შელახული, ძიუდოისტებსაც კი აღარ გვენდნენ".

ქართულ დელეგაციას ვიზები კიევში, ავსტრიის საკონსულოში უნდა აეღო, მაგრამ მანამდე ორგანიზატორებს თბილისში ოფიციალური მიწვევა უნდა გამოეგზავნათ. ამ საბუთმა საქართველომდე დღემდე ვერ ჩამოაღწია. ავსტრიელები ჯიუტად გაიძახიან, ეს ფორმალობა შევასრულეთო. საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში კი ფიქრობენ, რომ ტურნირის ორგანიზატორებმა საქართველო შეგნებულად მოკვეთეს შეჯიბრიდან.

**ოთარ გალლაკელიძე**

# პეტკარ სეგრტი სიტყვის კაცია

## გაუტანა და მოუგო!






## საქართველომ რუსეთი გადათელა



საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

თბილისი. 21 ნოემბერი. 19.30 საათი. ეროვნული (ტევადობა 55 600)

## საქართველო — ლიტვა

მსაჯები: ა. სტავრევი, მ. კიროვსკი, ლ. კრსტევსკი, დ. მეჩკაროვსკი (ყველა მაკედონია);
უეფას დამკვირვებელი: ა. შლუხტერი (შვეიცარია)

# ძმა ძმისთვისაო?!





**სანამ** კლაუს ტოპმიოლერი ვარჯიშს გამართავდა, პრესკონფერენცია მოაწყო — გერმანელი ჟურნალისტებსაც გამოგვწვდა და სამართლიანობისკენ მოგვიწოდა. ეს ამბავი თურმე ბატონ კლაუსს დიდი ხანი გულზე ლოდად აწვა.

თუ რა ბრძანა ტოპმიოლერმა, ამას ქვემოთ მოგახსენებთ, მანამდე კი ჩვენი ნაკრების თავკაცმა ლიტვასთან მატჩზე ისაუბრა...

— უმნიშვნელოვანესი მატჩი გველის ლიტვასთან. გვინდა, მოვიგოთ და ცხრილში გადავასწროთ მეტოქეს. ამ გამარჯვებით მსოფლიოს შესარჩევის წილისყრაში მეოთხე კალათში მოხვდებით. სამწუხაროდ, კვლავ გვყავს ტრავმირებული ფეხბურთელები — ზურაბ ხიზანიშვილს და ლაშა ჯაკობიას მუხლები სტკივათ და ლიტვასთან ვერ დაგვეხმარებიან. მოგეხსენებათ, გუშინდელ ვარჯიშზე დაშავდა გოგიტა გოგუა, ზურაბ მენთეშაშვილი დღეს იძუნძულებს და ხვალ თავად გვეტყვის, შეძლებს თუ არა თამაშს. დავით სირაძე კი გამოჯანმრთელდა. ყატარში მიღებული წითელი ბარათის გამო თამაშს გამოტოვებს შოთა გრიგალაშვილი. ასე, რომ სულ 18 ჯანმრთელი ფეხბურთელი დაგვრჩა...

...ლიტვის ნაკრების რამდენიმე მატჩის ვიდეოანალიზი გავაკეთეთ. ჩვენი მეტოქე ძალიან კარგი გუნდია. მათ კონტრშეტევაზე თამაში შეუძლიათ, განსაკუთრებით ძლიერები კი დაცვის ხაზში არიან. მადლობა ღმერთს, დანილავიჩიუსი დააკლდებათ. გავარჩიეთ ჩვენების შოტლანდიელებთან თამაშიც და აღმოჩნდა, რომ ნახევარ-ნახევარი კილომეტრით მეტი ირბინეს თითოეულ შოტლანდიელზე. ჩვენი იყო მოგებული ორთაბრძოლებიც და ასე უნდა იყოს ლიტვასთანაც — ვაჯობოთ ორთაბრძოლებშიც, სირბილშიც და მოგება ჩვენი იქნება...

...დიდი ხანია, ეს გულზე ლოდად მაწევს, ახლა კი მინდა ვთქვა: მასმედიის ზოგი წარმომადგენელი 17 და 19-წლამდელთა ნაკრებების მწვრთნელებს აკრიტიკებს და ჩემი აზრით, ეს არ არის სამართლიანი. ეს მწვრთნელები იმისთვის მუშაობენ, რათა ძირითად ნაკრებს ფეხბურთელები მოაწოდონ. მაკარიძე, ყენია და მჭედლიძე ამ ასაკისანი არიან. ასეთი ფეხბურთელებისთვის მწვრთნელებს მადლობას უნდა ვეუბნებოდეთ, აქ კი თავს ესხმიან".

ძნელი სათქმელია, ახლა რატომ გაახსენდა კლაუს ტოპმიოლერს ეს თემა, თუმცა ისიც ფაქტია, რომ 19-წლამდელთა ნაკრების დღევანდელ შემადგენლობას გაცილებით მეტი შეუძლია, ვიდრე თბილისში ჩატარებულ ევროშესარჩევ ციკლში სამივე თამაშის წაგება და ბოლო ადგილზე გასვლაა...

ყოველ შემთხვევაში, ძალიან გვინდა, რომ ამის გვჯეროდეს...

ასე არ არის, ჰერ კლაუს და ჰერ ჰაინც?

**ნუკრი ლოლაძე**

# ცხრილიც და კალათაც!

**კლაუს ტოპმიოლერმა** პრესკონფერენციის დასრულებისთანავე დააწყებინა გუნდს ვარჯიში, თუმცა იქამდე ფეხბურთელებს კომენტარი ვთხოვეთ...

მალხაზ ასათიანი: „ჩვენ აუცილებლად მოგება გვჭირდება, როგორც ცხრილში ლიტველთა გადასასწრებად, ასევე იმისთვის, რათა რეიტინგში ავიწიოთ და მეოთხე კალათაში მოვხვდეთ. ვეცდებით, გავიმარჯვოთ და ქართველი ხალხი გავახაროთ".

გიორგი მაკარიძე: „ლიტველები უნდა დავამარცხოთ. ვეცდები, გოლი არ გავუშვა და ჩვენს ნაკრებს გამარჯვებაში დავეხმარო".

ფეხბურთელები ყველანი შევიდნენ მინდორზე — გასახდელიდან ოდნავ მოგვიანებით გამოვიდა კაპიტანი კახა კალაძე.

ჟურნალისტებისთვის ვარჯიში ათ წუთში დაიხურა, ამ დროში კი მწვრთნელ-ფეხბურთელებმა კვადრატი გაახურეს. ვარჯიში ჟურნალისტებისთვის კი დაიხურა, მაგრამ რამდენიმე გულშემატკივრისთვის რატომღაც არა და სწორედ ერთმა მათგანმა გვითხრა, ვარჯიშის ბოლოს დავით კვირკველიამ ტრავმა მიიღო და კოჭი ექიმებმა შეუხვიეს, თუმცა, როგორც შევიტყვეთ, საშიში არაფერია...

# ლიტვამ ჰიმნშიც ივარჯიშა

**საქართველოს** ნაკრების მეტოქე „ეროვნულზე" 19 საათზე მოვიდა და ჩვენებისგან განსხვავებით, ვარჯიში არ დაუხურავს. ძუნძული, კვადრატი, გრძელი პასები და კარში დარტყმა — ეს იყო და ეს.

ჰო, ეტყობა, სტადიონზე ლიტველთა ჰიმნის დისკის ვარგისიანობას ამოწმებდნენ და ააჟღერეს. ფეხბურთელებმა რეაქცია წამსვე მოახდინეს — გაშეშდნენ და მოსასმენად გაირინდნენ, მაგრამ ვინ აცალათ. რამდენიმე წამში გამოურთეს.

ლიტველთა მთავარმა მწვრთნელმა ალგიმანტას ლიუბინსკასმა კი რამდენიმე კითხვაზე არც გუშინ დაგვამადლა პასუხის გაცემა: „ყატართან შეხვედრის ფირი არ მოგვცეს ქართველებმა და არც ჩვენ მივეცით უკრაინელებთან მატჩი. ჩვენ ოთხი დღის წინ ძალიან მძიმე თამაში გვქონდა უკრაინელებთან და ახლაც ძალიან ძნელი მატჩი გველის. არიან თუ არა კარგ ფორმაში ჩემი ფეხბურთელები, ამას თამაში გვაჩვენებს".

**ნუკრი ლოლაძე**



# შოთამ ფიზიკა დაიწყო სამი კვირაც და...

**შოთა არველაძემ** „ლევანტეში" ვარჯიში დაიწყო ფიზმომზადების მწვრთნელთან — დატვირთვა გაეზარდა და ალბათ ორ-სამ კვირაში გუნდთან ერთადაც დაიწყებს მზადებას.

შეგახსენებთ, რომ 34 წლის ქართველ ბომბარდირს ესპანურ პრიმერადივიზიონში ჯერ არ უთამაშია და იმედია, მისი დებიუტი წლეულსვე შედგება.

**ილია ნანობაშვილი**

# საუეფო ქართველები

**29 ნოემბერს** უეფას თასის გათამაშების ჯგუფურ ტურნირში ჰოლანდიური „ალკმაარი" ბერძნულ „ლარისას" უმასპინძლებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ამ მატჩს ქართველ მსაჯთა ოთხეული მოემსახურება: არბიტრი — ლევან ფანიაშვილი, თანამსაჯები — ზაზა მენთეშაშვილი და ლევან მიქელაძე, მეოთხე მსაჯი: დავით ხარიტონაშვილი.

**კახა ზალამბერიძე**

# შვეიცარიული ამბები

**18 წლის** გიორგი ივანიშვილმა კვლავ ითამაშა „ციურიხის" 21-წლამდელთა გუნდში, ოღონდ ამჯერად არც გოლი გაუტანია და არც სრულად უბურთავია — „შაფჰაუზენთან" შეხვედრაში 67-ე წუთზე შეცვალეს. გოლი კი საქართველოს 19-წლამდელთა ფორვარდმა წინა მატჩში „რედ სტართან" შეაგდო.

რადგან შვეიცარიას ვეხებით, სანდრო იაშვილზეც ვთქვათ: „თუნმა" ამხანაგურ თამაშში 1:3 დათმო ფრანგულ „სოშოსთან", სანდრო კი მინდორზე 85 წუთი იყო.

**ლუკა თალაკვაძე**

## გულშემატკივართა საყურადღებოდ!

საქართველო — ლიტვა. 21 ნოემბერი

საქართველოსა და ლიტვის ეროვნულ ნაკრებთა შეხვედრაზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის სალაროებში დაიწყება ორშაბათს, 19 ნოემბერს, დილის 11 საათიდან.

ორშაბათს და სამშაბათს სალაროები იმუშავებს 18 საათამდე, ხოლო ოთხშაბათს, მატჩის დღეს, დილის 11 საათიდან 19.30 საათამდე.

ბილეთების ფასია 5, 10 და 20 ლარი.

თამაშის დღეს სტადიონზე შესასვლელი კარები 17 საათიდან გაიღება.

გულშემატკივრებს მოვუწოდებთ, ყურადღებით გაეცნონ ორივე მატჩის ბილეთების უკანა მხარეზე დაბეჭდილ წესებს და მკაცრად დაიცვან ისინი!

### ინგლისი

კონფერენსლიგა
XX ტური

ფერსლი 1:1 ალტრინჩემი

ასოციაციის თასი
I ეტაპი. გადათამაშება

ბორნმუთი 3:2დ.დ. (2:2) ბაროუ
ბრაიტონი 2:1 ჩელტენემი
გრიმსბი 1:0 კარლაილი
ლიდსი 0:1 ჰერეფორდი
ნორთჰემპტონი 2:1 დარლინგტონი
როტერჰემი 0:3 ფორესტ გრინი
როვერსი — ლეიტონი გადაიდო

### სლოვაკეთი

თასის 1/4 ფინალი
საპასუხო მატჩი

ტრნავა 0:0 ტატრანი (1:0)

### პოლონეთი

ლიგის თასი. IV ტური
A ჯგუფი

რუხი 2:2 ლოძი

### ირლანდია

გადასასვლელი პლეი ოფი
პირველი მატჩი

ფინ ჰარპსი 3:0 უოტერფორდი

### 2009 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატი შესარჩევი ეტაპი

UNDER-19 Championship

II ჯგუფი
ლიხტენშტაინი 1:4 სომხეთი
III ჯგუფი
ირლანდია 1:0 ბულგარეთი
პორტუგალია 1:1 ინგლისი
V ჯგუფი
ნორვეგია 2:0 ესტონეთი
VI ჯგუფი
დანია 1:0 სლოვენია
VII ჯგუფი
კვიპროსი 1:2 ავსტრია
ბელგია 1:2 ისლანდია
VIII ჯგუფი
ბელარუსი 1:1 სერბეთი
IX ჯგუფი
ლუქსემბურგი 0:7 გერმანია
ჩრდ. ირლანდია 3:0 მოლდოვა
X ჯგუფი
მალტა 2:1 ბოსნია
უელსი 4:2 საფრანგეთი

### ამხანაგური მატჩები

სამხრეთ აფრიკა 2:0 კანადა
ალჟირი 3:2 მალი
ანგოლა 0:3 გვინეა
შვეიცარია 0:1 ნიგერია

# ნამუსის ულვაში
## პეტარ სეგრტის საბავშვო ბაღმა რუსეთი დაასტუქა!

ილია ნანობაშვილი

**ფეხბურთში** კი არა, ბეისბოლი იქნება, მაგიდის ჩოგბურთი, სკეიტბორდი თუ ბადმინტონი, რუსების დამარცხება ქართველ ხალხს დიდ სიხარულს ანიჭებს. ვის, ვის და, ერთი მუჭა ქვეყანა ვებერთელა ჩრდილოელ მეზობელს რომ უგებს, სულ სხვა ფასი აქვს, სულ სხვა ემოცია მოაქვს, რომელიც არ შეგიძლია დაფარო, ან რატომ უნდა დაფარო — ძალიან შეცდა ის გულშემატკივარი, რომელსაც დაეზარა ვაკის სარბიელზე მისვლა.

„მე არ ვარ დღის გმირი, დღის გმირი მთელი საქართველოა, დღის გმირი ის საბავშვო ბაღია, რომელმაც რუსეთის ძლიერი ნაკრები დაამარცხა" — თქვა ნამატჩევს ჯერ კიდევ ემოციადაუცლელი ხორვატი მწვრთნელი პეტარ სეგრტმა.

ჩვენ კი ნაღდად არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მთავარი გმირი სწორედ ეს ულვაშა კაცი გახლდათ. ხომ გახსოვთ, წინა დღეს რა თქვა? „ჩვენ გავუტანთ რუსებს და არ გავუშვებთ, ესე იგი, მოვიგებთ!" — ნამუსის ულვაშიც ამ კაცს ჰქონია...

ნამატჩევს პრესკონფერენციაზე სეგრტის რუსმა კოლეგამ ბორის სტუკალოვმა აღიარა, გამართლებით არ მოგვიგიათო, თუმც არც ის უთქვამს, გვაჯობეთო — უბრალოდ, ქართველები საკუთარ თავს გადაახტნენო.

როგორც გენებოთ, ისე ჩათვალეთ, ბატონო სტუკალოვ, მაგრამ ქართველმა ჭაბუკებმა თქვენ გაწვრთნილებს ყველაფერში აჯობეს, განსაკუთრებით კი, ტექნიკაში. რუსების მთელი 90 წუთის ნაბურთავები არ ღირდა ბექა გოცირიძის ერთ სოლო გარღვევად, რომელმაც მეორე გოლი მოიტანა — „ზესტაფონის" ტანჩია ფორვარდმა დაახლოებით მოედნის ცენტრში მოიხელთა ბურთი, მეტეორივით გაძვრა ორ მცველში, მესამეს და მეოთხეს ფინტებით აუარა გვერდი და საჯარიმოში შესულმა გემრიელად შეასრიალა ბურთი კარში — ვინატრე, სტადიონი სავსე ყოფილიყო, რა ამბავი ატყდებოდა-მეთქი, როცა 3000-მდე მაყურებელმაც კი ყიჟინით გააყრუა იქაურობა.

და ასეთი თამაშის შემდეგ ნამდვილად არ გვინდა გავიხსენოთ ყაზახეთში 1:4 წაგება, მაგრამ გიჩნდება კითხვა — რატომ? განა შეიძლება, რაც არ უნდა ცუდად წაგვიდეს თამაში, რუსების წამქცევმა ამ ბიჭებმა ყაზახებთან სამარცხვინო ანგარიშით დათმონ? იმედია, ყველა თამაშზე ექნებათ ჩვენს 21-წლამდელებს ის განწყობა, რაც გუშინ მთელ საქართველოს დაანახეს.

გუშინწინდელ ვარჯიშზე სეგრტის ემოციებს, მონდომებას, იმედიანობასა და ფეხბურთელების ანთებულ თვალებს რომ ვუყურე, მაშინვე ვიგუმანე, ხვალ რუსეთს კარგი დღე არ დაადგება-მეთქი, მაგრამ იმასაც ვფიქრობდი, ნაკრებს სხვადასხვა მიზეზით 14 ფეხბურთელი აკლდა და როგორ, რანაირად... მადლობა ღმერთს, ამ „საბავშვო ბაღითაც" კი ვიმარჯვეთ იმ გუნდთან, რომელსაც ზურგსუკან 4 თამაშში 12 ქულა და ბურთების შეფარდება 10:0 ჰქონდა.

...სეგრტმა კარი რევაზ თევდორაძეს ანდო, ვინაც გუშინ, პირდაპირ ვიტყვით, უშეცდომო იყო — გამოსვლებზე ხომ ლომივით ითამაშა და პლუს, პირველი ტაიმის მიწურულს, რევაზ ბარაბაძის გოლამდე და გოლის შემდეგ, ჯერ ალექსანდრ პრედნიკოვის ლამაზი დარტყმა უკუაგდო კუთხურზე, მერე კი ვიქტორ ფაისულინს ფეხით აულო, ხოლო მეორე ნახევარში დმიტრი კომბაროვის გარღვევა და მწვავე გასროლა გააშეშა ხელებში.

რუსებს ოდენ ეს სამი მომენტი ჰქონდათ, ჩვენების დაცვა კარგად იდგა და განსაკუთრებით, მათე ლვინიანიძის საიმედო თამაშზე ვიტყვი — როგორც კაპიტანს და ლიდერს შეეფერება, ისე გაისარჯა.

ბევრი იმუშავა ნახევარდაცვის ცენტრმა, სადაც გიორგი ხიდეშელი და მირზა ბჟალავა იყვნენ. ბჟალავა უფრო შესამჩნევი გახლდათ, რადგან კონტრშეტევებსაც იწყებდა, ეგაა, ზოგჯერ სისწრაფე ღალატობდა.

პირველი შანსი ქართველებს მე-7 წუთზე მიეცათ, როცა ბარაბაძემ ფლანგზე მოჰპარა ბურთი მცველებს, მეკარის ბაქანზე შეაგორა, სადაც ბჟალავა-გოცირიძემ ერთმანეთს ხელი შეუშალეს, დარტყმა არ დასცალდათ და სოსლან ჯანაევმა იმარჯვა. კიდევ იყო ნახევარმომენტები, რის შემდეგაც გოლის ჯერიც დადგა.

სეგრტმა ნამატჩევს ესეც თქვა, დამუშავებული სტანდარტული მდგომარეობის შედეგად გავიტანეთ ეს ბურთიო: გიორგი ნავალოვსკიმ ჯარიმა ჩააწოდა და მცველებისგან გათავისუფლებულმა ბარაბაძემ და მაღალ ბურთს თავური ურჩია — 1:0.

რუსებს იქვე შეეძლოთ გათანაბრება — ფაიზულინის ნახსენებ შანსზე ვთქვით და იქვე ფიოდორ კუდრიაშოვმაც ოდნავ ააცილა თავური.

მეორე ნახევარში რუსთა თავკაცმა 4-4-2-დან 3-5-2-ზე გადააწყო სათამაშო სქემა, ერთხანს თითქოს მიაწვა კიდეც, მაგრამ ჩვენებმა მალევე გაათანაბრეს თამაში და ბარაბაძეს მეორე თავურის გატანაც შეეძლო, როცა ირაკლი კლიმიაშვილის ჩაზნექილებულს დაარტყა და ააცილა.

მოგებული თამაშია, მაგრამ უნდა ვუსაყვედუროთ ბერძენ მთავარ მსაჯს, რომელიც ოდნავ მიკარებაზეც კი აჯარიმებდა ჩვენიანებს, ხოლო ვლადიმირ გრანტს რომ საკუთარ საჯარიმოში ხელზე მოხვდა ბურთი, ვერ დაინახა.

დრო იწურებოდა, სლიპინა ანგარიში კი გოცირიძის შედევრ-გოლმა გაასწორა: ერთ ნახვად ღირდა...

7 წუთი იყო დარჩენილი, მაგრამ რუსეთს უკვე ჩამოყრილი ჰქონდა ყურები. მშვენიერი გამარჯვებაა — წუნს ვერ უპოვი!

### პრესკონფერენცია

*ბორის სტუკალოვი:* მე მატჩის წინა დღეებშიც ვამბობდი, პრინციპულ თამაშში ქართველებს საკუთარ თავზე გადახტომა შეუძლიათ-მეთქი. თანაბარი თამაში იყო, მაგრამ შედეგი სახეზეა. სამწუხაროდ, საგოლე შანსები ვერ გამოვიყენეთ. მეორე ტაიმში რისკზე წავედით, რასაც ქართველების კონტრშეტევები მოჰყვა, 2:0-ზე კი თამაშის მოტრიალების არც თავი გვქონდა და არც დრო. ჯგუფში ყველაფერი წინაა: ჩვენ ორივე მატჩი სათამაშო გვაქვს ესპანელებთან. ასე რომ, მიზანი იგივეა, ჯგუფიდან უნდა გავიდეთ.

*პეტარ სეგრტი:* უზომოდ გახარებული ვარ, თამაშამდე ვამბობდი, შედეგზე მხოლოდ მე ვიქნები პასუხისმგებელი, ფეხბურთელებმა წნეხი არ უნდა იგრძნონ-მეთქი. ეს გასახდელშიც ვუთხარი ბიჭებს. ალბათ, ყველამ დაინახა, რომ ფორტუნის წყალობით არ მოგვიგია. დამიჯერეთ, საქართველოს ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი ჰყავს, უბრალოდ, 8-10 თვეში ყველა მათგანის წარმოჩენა შეუძლებელია.

...საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა რევაზ არველაძემ გაზეთში გამაკრიტიკა ახალგაზრდა მოთამაშეებზე დაყრდნობისთვის. კარგად ვიცი, რამდენად წონიანი სიტყვა ეთქმის მას ქართულ ფეხბურთში, მაგრამ არველაძის მოსაზრებას მაინც ვერ ჩავწვდი ბოლომდე. არა უშავს. ეს სამუშაო პროცესია, მე კაცი ვარ და კრიტიკა მივიღე. საერთოდ, გაახალგაზრდავების კურსი ამართლებს და შედეგს თავადაც ხედავთ. ეს კურსი კი ფედერაციის დამსახურებაა.

...41 წლის ვარ და ბევრი მოგება მინახავს, მაგრამ დღევანდელი გამარჯვება ერთ-ერთი ყველაზე საამაყოა ჩემთვის.

...გული მწყდება, ყაზახეთში მარცხი რომ მახსენდება. ახალგაზრდას უჭირს ყველა მატჩის სტაბილურად ჩატარება, თანაც, იმ მატჩის შემდეგ ბევრი ფეხბურთელი შევცვალე ყაზახეთი ახლოსაც ვერ მოვა რუსეთთან და დღემდე ვერ წარმომიდგენია, როგორ წავაგეთ იქ. სხვათა შორის, ყაზახური თამაშის შემდეგ კლაუს ტოპმიოლერს 8 საათი ველაპარაკე და გეტყვით, რომ რაღაც-რაღაცეები ვისწავლე იმ წაგებით.

...ხვალ ლიტვასთან მნიშვნელოვანი მატჩი აქვს ეროვნულ ნაკრებს, თუმც ტოპმიოლერმა მითხრა, იმდენად დიდი სიხარული მიანიჭე ხალხს, ამ ღამეს თავისუფალი ხარო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:0 | 12 |
| რუსეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 9:2 | 12 |
| პოლონეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 4:8 | 6 |
| საქართველო | 6 | 2 | 0 | 4 | 6:13 | 6 |
| ყაზახეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 5:11 | 3 |

თბილისი. 20 ნოემბერი. 19 საათი. მიხეილ მესხი. 3 000 მაყურებელი

### საქართველო 2:0 რუსეთი

1:0 ბარაბაძე (37), 2:0 გოცირიძე (83)

**საქართველო:** თევდორაძე, თომაშვილი, ლვინიანიძე, ხიდეშელი, ნავალოვსკი, უ. ლობჟანიძე, ბჟალავა, კლიმიაშვილი (თარგამაძე 90), ბარაბაძე (ელბაქიძე 84), ს. კობახიძე, ბ. გოცირიძე (დვალიშვილი 88)
*სათადარიგონი:* ლორია; ბეგლარიშვილი, გვაძაბია, დაუშვილი
**მწვრთნელი:** პეტარ სეგრტი

**რუსეთი:** ჯანაევი, ლებედევი (ეფიმოვი 69), ტარანოვი, კ. კომბაროვი, პრედნიკოვი, დ. კომბაროვი, გრანატი, იაშჩენკო (კოტანოვი 46), ფაიზულინი, კუდრიაშოვი (სამსონოვი 73), შიშკინი
*სათადარიგონი:* კერჟაკოვი; ლუკანჩენკოვი, ნაგუმანოვი, ტიხონოვი
**მწვრთნელი:** ბორის სტუკალოვი

**გაფრთხილება:** შიშკინი (25), ბჟალავა (34), ბარაბაძე (41), ლებედევი (41), გრანატი (45), ფაიზულინი (76)

**მსაჯები:** მ. გერმანაკოსი; ხ. აკრივოსი, დ. პაპადოპულოსი; ვ. პამპორიდისი (ყველა საბერძნეთი)

**უეფას დელეგატი:** ბ. კასმი (ალბანეთი)



### ნამატჩევს

*ბექა გოცირიძე:* რუსებს აქამდე არც თამაში წაეგოთ და არც გოლი ჰქონდათ გაშვებული. ჩვენ შევძელით მათ კარში ორი ბურთის გატანაც და დამარცხებაც, რაც ჩვენთვის დიდი სტიმულია.

*რევაზ ბარაბაძე:* ნავალოვსკიმ ბურთი კარგად ჩამოაწოდა და თავი წავკარი. ბურთი ბადეში რომ დავინახე, სიხარულისგან კინაღამ გავგიჟდი, ყველანი ძალიან გახარებულები ვართ.

*დავით თარგამაძე:* დღეს ახალგაზრდული ნაკრების ოფიციალურ შეხვედრაში დებიუტი მქონდა და იღბლიანი გამოდგა. ცოტა ხნით მომიწია თამაშმა, მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ. ბიჭებმა გამარჯვებისთვის ყველაფერი გააკეთეს.

*სანდრო კობახიძე:* სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, როგორი ბედნიერი ვარ. ბოლო ხანებში ჩვენს ნაკრებს წარუმატებლობები დასჩემდა და ასეთ პრინციპულ მეტოქესთან გავტეხეთ ნავსი. ამ გამარჯვებას ყველა ქართველს ვუძღვნით.

*ლადო დვალიშვილი:* ჩვენთვის, ქართველებისთვის ამ მატჩს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ბოლომდე ვიბრძოლეთ და ღირსეულადაც გავიმარჯვეთ. ამ მატჩამდე მთელი გუნდი სამებაში ვიყავით, ვილოცეთ და ღმერთმაც გადმოგვხედა.

*რევაზ თევდორაძე:* მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ და მთელი საქართველოც გავახარეთ. ყველას ვულოცავ ამ წარმატებას.

*მათე ლვინიანიძე:* ყველა მატჩს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ რუსეთის დამარცხება მაინც სულ სხვაა. ქართველი ხალხის გახარება გვინდოდა და ეს მოვახერხეთ. ყველასი — ვინც სტადიონზე იყო, თუ ტელევიზიით ნახა ეს მატჩი — გულის ძგერა გვესმოდა და ეს გამარჯვება მათ ეძღვნებათ.

*ირაკლი კლიმიაშვილი:* ერთად შევძელით რუსების დამარცხება და ძალიან ბედნიერი ვარ. ახლა მთელი საქართველო გახარებულია.

**ნუგზარ ლოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველად იყო ლიტვა
## საქართველო ბალტიის პირას



შაულიუს მიკოლიუნასის გოლი

**საქართველოს** და ლიტვის ნაკრები ჯერ კიდევ 1990 წელს შეხვდნენ ერთმანეთს თბილისში. ეს იყო დამოუკიდებელი ქვეყნის სახელით პირველი შეხვედრა, თუმცა ცხრილში იმად არ არის შეტანილი, რომ არც საქართველო და არც ლიტვა ჯერ კიდევ არ იყვნენ ფიფას წევრები.

სტადიონი თითქმის პირთამდე გაივსო: ორჯერ ვაგებდით, თუმც გია გურულისა და კახა კაჭარავას გოლებით 2:2 დასრულდა.

მოკლედ, ლიტვას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს ნაკრების ისტორიაში: პირველი ოფიციალური ამხანაგური მატჩიც სწორედ მათთან გვქონდა, ოღონდ ამჯერად სტუმრად და ბოლო წუთებზე გაშვებულით 0:1 დავთმეთ.

ქართველთა მომდევნო ბალტიისპირული მეტოქე ლატვია იყო, თანაც მიჯრით სამჯერ. რიგაში ჩვენებმა 3:1 მოიგეს, შემდეგ მალტის ტურნირზე გოჩა ჯამარაულის დუბლით 2:1 ვიმარჯვეთ და მაინცდამაინც ოფიციალურში წავიქეცით: გეხსომებათ, ერთი შეხედვით იოლ ჯგუფში მოვხვდით და ხალხს იმედი მიეცა, ევრო 2000-ზე გავალთო, თუმც იმ შესარჩევში მხოლოდ ერთი მოგება მივითვალეთ და ისიც პირველ ტურში ალბანეთთან — პირველი მარცხი კი ვლადიმერ გუცაევის ნაკრებმა რევაზ ძოძუაშვილის ლატვიასთან იწვნია რიგაში. მარიან პახარსმა მე-2 წუთზე გაიტანა, შემდეგ კი ქართველები გამუდმებით უტევდნენ, მაგრამ საბოლოოდ 0:1.

ორიოდ თვეში საქართველომ ექსპერიმენტული შემადგენლობით ითამაშა ამხანაგური თბილისში ესტონეთთან. მიხეილ აშვეთიას დუბლითა და დავით ჯანაშიას ერთი გოლით 3:0 ვიგებდით და სტუმრებმა ბოლოსლა გაიტანეს.

მომდევნო წელს, 2001-ის სექტემბერში ქართველებს ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი უკვე დაკარგული ჰქონდათ, როცა ლატვიას 2:2 ეთამაშნენ. ამ დროს აღარც გუცაევი იყო ჩვენების თავკაცი (იოჰან ბოსკამპმა შეცვალა) და აღარც ძოძუაშვილი ლატვიელებისა. შოთა არველაძისა და მიხეილ ყაველაშვილის გოლებით 2:0 ვიგებდით, მაგრამ სტუმრებმა ჯერ ერთი გაქვითეს, მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე კი ანგარიში გაათანაბრეს და ჯგუფში ბოლო ადგილზე დაგვტოვეს. ეს იყო ქართველთა ყველაზე სამარცხვინო ციკლი.

მერე იყო ისევ ესტონეთთან ამხანაგური და ტალინში წაგება — 0:1.

ამის შემდეგ კი ბალტიისპირელთაგან მხოლოდ ლიტვას ხვდებოდნენ ქართველები. და, აი, ნაკრების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო თამაში — მუნდიალ 2002-ის შესარჩევის პირველ მატჩში დავით ყიფიან-რევაზ ძოძუაშვილის გაწვრთნილებმა კაუნასში 4:0 მიანგრია მეტოქე. თემურ ქეცბაიამ პირველ ტაიმში დუბლი გაახერხა შორეული დარტყმებით, მერე კი გიორგი ქინქლაძემ და არჩილ არველაძემაც მიაყოლეს.

ლიტვასთან იმციკლისეულ თბილისურ შეხვედრაში კი 85-ე წუთამდე 0:0 იყო და ალექსანდრე იაშვილმა ბოლოსლა გაიტანა ტყუპი გოლი.

მომდევნო საქართველო — ლიტვა თბილისში, ალენ ჟირესის მწვრთნელობისას გაიმართა. თებერვლის თოვლში ჩვენები საკმაო უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ ერთი გოლი იკმარეს: მიხეილ აშვეთიამ მეორე ტაიმის დასაწყისში გაიტანა და 1:0.

დაბოლოს, წლეულს ზაფხულში, კაუნასში: კლაუს ტოპმიოლერის გუნდს ბევრი საგოლე მომენტი ჰქონდა, თუმც დაცვაში უხეშმა შეცდომებმა გიორგი ლომაიას კარში ერთი გადამწყვეტი გოლი მოიტანა. შაულიუს მიკოლიუნასმა კონტრშეტევაზე დაიჭირა ჩვენები და ლიტვამ 1:0 იმარჯვა.

**ილია ნანობაშვილი**

### საქართველოს ნაკრები ბალტიისპირელებთან

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1992. 2 სექტემბერი | ამხ. | ლიტვა (ს) | 0:1 | |
| 1994. 26 ივნისი | ამხ. | ლატვია (ს) | 3:1 | დ. ჯანაშია, კაჭარავა, ჯამარაული |
| 1998. 6 თებერვალი | ამხ. | ლატვია (ნ) | 2:1 | ჯამარაული (2) |
| 1998. 10 ოქტომბერი | ეჩშ | ლატვია (ს) | 0:1 | |
| 1998. 18 ნოემბერი | ამხ. | ესტონეთი (შ) | 3:1 | აშვეთია (2), დ. ჯანაშია |
| 1999. 8 სექტემბერი | ეჩშ. | ლატვია (შ) | 2:2 | შ. არველაძე, ყაველაშვილი |
| 2000. 11 ივნისი | ამხ. | ესტონეთი (ს) | 0:1 | |
| 2000. 7 ოქტომბერი | მჩშ. | ლიტვა (ს) | 4:0 | ქეცბაია (2), ქინქლაძე, ა. არველაძე |
| 2001. 5 სექტემბერი. | მჩშ. | ლიტვა (შ) | 2:0 | ა. იაშვილი (2) |
| 2005. 9 თებერვალი | ამხ. | ლიტვა (შ) | 1:0 | აშვეთია |
| 2007. 2 ივნისი | ეჩშ. | ლიტვა (ს) | 0:1 | |

# სეთურიძე ნაახალწლევს იქნება

**იენის** „კარლ ცაისში" ჩასულმა გიორგი სეთურიძემ ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე მიიღო სერიოზული ტრავმა და მას შემდეგ არ უთამაშია.

გერმანული სპორტული გამოცემების ცნობით, სეთურიძის ჯანმრთელობა თანდათან სტაბილური ხდება, თუმცა მის საბოლოო გამოჯანმრთელებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და ქართველი ფეხბურთელი სრულ მზადყოფნაში მხოლოდ მეორე ბუნდესლიგის მეორე წრის დასაწყისში თუ იქნება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ლიტველის ლატვიელი ნუკრის შანსია



**სანუგეშო** ინფორმაცია ნუკრი რევიშვილისთვის: ყაზანის „რუბინის" ძირითადი მეკარე, 32 წლის ალექსანდრ კოლინკო გერმანულ „კარლ ცაისში" გადადის. ამის თაობაზე იენელთა ლიტველმა მწვრთნელმა ვალდას ივანაუსკასმა თქვა — კოლინკოს შეძენა მსურს, ახლა სტოკჰოლმში მივდივარ შვედეთი — ლატვიის მატჩზე, კოლინკოს თამაში უნდა ვნახო და აქვე გეტყვით, რომ იგი ზამთრის შესვენებამდე ჩვენი მთავარი სამიზნე იქნებაო.

და თუ ტრანსფერი შედგა, საინტერესოა, „რუბინი" კოლინკოს ნაცვლად სხვა მეკარეს მიიყვანს თუ მთავარმეკარედ 20 წლის ნუკრის დააყენებს? ცნობა, თითქოს ყაზანელებმა რუსეთის ნაკრების გოლკიპერი ვლადიმირ გაბულოვი იყიდეს, ჯერჯერობით არ დასტურდება. ის კი ითქვა, „ტომიდან" სერგეი რიჟიკოვი შეიძინესო...

**ილია ნანობაშვილი**



# ასეთი ცუდი სეზონი ჯერ არსად მქონია
## რას აპირებს გიგიაძე?

**ვასილ გიგიაძე უკრაინის ჩემპიონატში მეშვიდე სეზონს ატარებს და ამ დროის მანძილზე განსაკუთრებით სიმფეროპოლელ და კრივოიროგელ ქომაგებს შეაყვარა თავი. „ტავრიასა" და „კრივბასში" გიგიაძეს სეზონში 8-10 გოლი ყოველთვის გაჰქონდა. ბომბარდირობას დაჩვეულ გიგიაძეს მიმდინარე ჩემპიონატში ყველაფერი 180 გრადუსით შეუტრიალდა — „კრივბასიდან" ახტირსკის „ნეფტიანიკში" გადასულმა 12 ტურია, გატანა ვერ მოახერხა. ალბათ ესაა მიზეზი, რომ ჩვენებური ძირითადში ველარ ხვდება და არ არის გამორიცხული, მალე „ნეფტიანიკი" დატოვოს. გიგიაძეს უკრაინელი ჟურნალისტები გაესაუბრნენ...**

— ბოლო სამი მატჩია, არ მითამაშია, თუმცა ეს მთავარი მწვრთნელის კომპეტენციაა.

**— სწორედ მთავარმა მწვრთნელმა ვალერი გოროდოვმა თქვა, რომ გიგიაძის თაობაზე ხელმძღვანელობასთან აპირებს დალაპარაკებას...**

— ალბათ იმიტომ, რომ „ნეფტიანიკში" იჯარით ვარ. სეზონის პირველი ნაწილის დასრულებისთანავე მომიწევს ხელმძღვანელობასთან გასაუბრება, რათა გავარკვიო ჩემი მომავალი, თუმცა სინამდვილეში იჯარის ვადა დეკემბერში კი არა, სეზონის ბოლოს მთავრდება.

**— კლუბის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი გაქვთ?**

— არანაირი. არც ხელმძღვანელობასთან, არც მწვრთნელთან. შექმნილ სიტუაციას პრობლემად არ აღვიქვამ. რადგან მწვრთნელი თვლის, რომ ძირითადში არ უნდა მათამაშოს, ალბათ ასეა საჭირო. ბოლოს და ბოლოს, შედეგზე პასუხს მწვრთნელი აგებს და მისი ასარჩევია, ვის ათამაშებს და ვის არა.

**— მიმდინარე სეზონი საუკეთესო არ უნდა იყოს თქვენს კარიერაში...**

— „არ უნდა იყოს" რბილი ნათქვამია. ყველაზე ცუდია! რაც უკრაინაში ვთამაშობ, ასეთი პერიოდი არ მქონია.

**— სიტუაციის შეცვლას როგორ აპირებთ?**

— ჯერ ამ თემაზე საუბარი არ მსურს. სეზონის პირველ ნახევარს აქ ჩავამთავრებ და მერე ვნახოთ...

**— „ნეფტიანიკის" დატოვების შემთხვევაში, სად ისურვებდით კარიერის გაგრძელებას?**

— ჯერჯერობით არც ამ თემაზე მიფიქრია. საქმე ისაა, რომ „კრივბასთან" კიდევ წელიწადნახევარი მაკავშირებს. თუ ისე მოხდა, რომ ზამთრის პაუზისას „ნეფტიანიკის" დატოვებამ მომიწია, სავსებით შესაძლებელია, სხვა კლუბში გამყიდონ. ყველაფერი „კრივბასის" ხელმძღვანელობის გადასაწყვეტი იქნება.

**— „კრივბასში" თამაშისას საქართველოს ნაკრებშიც გიწვევდნენ, თუმცა ბოლო დროს კლაუს ტოპმიოლერი აღარ გწყალობთ...**

— აქ გასაკვირი არაფერია. „ნეფტიანიკის" ძირითადში ვერ ვხვდებით, გოლები არ გამიტანია და თუ თავდამსხმელს გოლი ვერ გააქვს, ნაკრებში გამოძახებას არც უნდა ელოდოს.

**— „ნეფტიანიკზე" რას იტყვით?**

— ტურიდან ტურამდე გუნდი უკეთესად თამაშობს. კარგა ხნის მანძილზე მხოლოდ ქულა გვქონდა, მაგრამ გუნდმა აშკარად მოუმატა და უკვე 9 დაგვიგროვდა. მართალია, ჯერ ისევ ბოლო ადგილზე ვართ, მაგრამ ვთვლი, რომ ჯერ არაფერი დაგვიკარგავს.

**— ოპტიმიზმის საფუძველს რა გაძლევთ?**

— სატურნირო მდგომარეობა. მეთხუთმეტე ადგილს სამი ქულით ჩამოვრჩებით, მეთოთხმეტეს — ოთხით. ორი კარგი თამაში და, გასავარდნ ზონას უკან მოვიტოვებთ.

# ნახევარმილიონიანი ყენია

**საქართველოს** ნაკრების ფეხბურთელი ლევან ყენია თბილისის „ლოკომოტივიდან" გელზერკირხენის „შალკეში" რომ გადავიდა, რუსებმა რატომღაც გუშინ შეიტყვეს. მათი აზრით, ამომავალ ვარსკვლავს საფეხბურთო სამყაროში კაშკაში ჯერ არ დაუწყია და „შალკე" არც კი დაფიქრებულა, ისე გადაუხდია „ლოკომოტივისთვის" 500 000 ევრო.

ამ ინფორმაციას „სპორტ-ექსპრესმა" კლაუს ტოპმიოლერის სიტყვებიც დაურთო: „ყენია ჯერ ფიზიკურად ძლიერი არ არის, მაგრამ მოედანზე ყოფნისას მისთვის შეუძლებელი თითქმის არაფერია. სათამაშო სტილით ძალიან წააგავს ლინკოლნს და შეუდარებელი პასები აქვს".

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მილანს უნდა, ძალიან უნდა




**მადრიდის** „რეალს" მშვენივრად მოეხსენება, რომ „მილანს" სერხიო რამოსის ხელში ჩაგდება სურს და ბუნებრივიცაა, რომ მადრიდელები თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მცველის შენარჩუნებისთვის ბრძოლას აპირებენ.

აპენინურმა გრანდმა კი ესპანეთში თავისი აგენტი გალბიატი გაგზავნა. ამ კაცს სერხიო რამოსის მეთვალყურეობა ევალება. გალბიატი სერხიოს კარგად იცნობს, რადგანაც გასულ სეზონში „რეალში" ფაბიო კაპელოს ერთ-ერთი თანაშემწე იყო. „მილანმა" გალბიატის ეს საქმე ამიტომაც ჩააბარა — იტალიელ სპეციალისტს არ უნდა გაუჭირდეს კარგად ნაცნობ ფეხბურთელთან არანაკლებ ნაცნობ გარემოში შეთანხმების მიღწევა.

ექსსევილიელი რამოსი კაპელოს ფავორიტთაგანი იყო და „რეალის" ძირითადის შეუცვლელ წევრად დღესაც რჩება. სერხიო ესპანელთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერიცაა, შვედეთთან ამასწინანდელ თამაშში გოლიც შეაგდო, რითაც დაამტკიცა, რომ თავისი კარის მისადგომების დაცვასთან ერთად, მეტოქე გოლკიპერების გამწარებასაც კარგად ახერხებს.

„მილანში" მიაჩნიათ, რომ მარჯვენა ან ცენტრალური მცველის პოზიციაზე დღევანდელ ევროპაში სერხიოს დონის ფეხბურთელი არ თამაშობს. იტალიელები ძლიერ სატრანსფერო იერიშს ამზადებენ, თუმცა არც „რეალი" აპირებს დანებებას და ალბათ თავის დასაზღვევად რამოსთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას მოინდომებს.

**ლადო ხომერიკი**

# კალჩოსკაროსნები

**იტალიის** ფეხბურთელთა ასოციაციამ 2006-07 წლების სეზონის „კალჩოს ოსკარის" ნომინანტთა სია გამოაქვეყნა. საუკეთესოებს სერია A-ში მოთამაშე ფეხბურთელების ხმების დათვლის შემდეგ, 28 იანვარს მილანში დაასახელებენ.

2005-06 წლების სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი, საუკეთესო იტალიელი და საუკეთესო მცველი ფაბიო კანავარო გახდა. ამჯერად, ასეთი გამოკვეთილი ფავორიტი არ არის.

საუკეთესო იტალიელი ფეხბურთელის წოდებისთვის მილანელი ანდრეა პირლო და რომაელები — ფრანჩესკო ტოტი და დანიელე დე როსი და იბრძოლებენ.

სერია A-ს საუკეთესო ლეგიონერის წოდებაში ერთმანეთს „მილანის" ბრაზილიელი პლეიმეიკერი კაკა, „ინტერის" შვედი თავდამსხმელი ზლატან იბრაჰიმოვიჩი და „ფიორენტინას" რუმინელი ლიდერი ადრიან მუტუ ეცილებიან.

საუკეთესო მეკარისთვის განკუთვნილი ოსკარი ბოლო ექვსი სეზონიდან ხუთჯერ იუვენტუსელმა ჯანლუიჯი ბუფონმა მოიგო, მაგრამ ამჯერად იგი ნომინანტთა შორის არ არის, რადგან წინა სეზონში თავის კლუბთან ერთად სერია B-ში ითამაშა.

უძლიერეს მეკარეს ინტერელ჻ ჟულიო სეზარს, ფიორენტინელ სებასტიან ფრეისა და ფეხბურთიდან წასულ ექსლაციოელ ანჯელო პერუცის შორის აირჩევენ.

2006-07 წლების სეზონის ყველაზე გამორჩეული ახალგაზრდა ფეხბურთელი ფიორენტინელი რიკარდო მონტოლივო, მისი თანაგუნდელი ჯამპაოლო პაცინი ან „პარმადან" „ვილიარეალში" გადასული ჯუზეპე როსი გახდება.

რაც შეეხება საუკეთესო მცველს, კანდიდატები „ინტერის" მარკო მატერაცი, „რომას" ფილიპ მექსესი და „მილანის" ალესანდრო ნესტა არიან.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ცნობილები და მდიდრები ღარიბებისთვის ერთობიან




**ორშაბათს** საღამოს ესპანეთის ქალაქ მალაგაში სტადიონ „ლა როსალედაზე" საქველმოქმედო მატჩი გაიმართა, რომლის მიზანიც აღმოსავლეთ ევროპის, აზიის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში სიღარიბესთან ბრძოლაა იყო. შეხვედრას, რომელსაც 30 ათასი მაყურებელი დაესწრო, პიერლუიჯი კოლინა მსაჯობდა.

ამ მატჩში მონაწილეობა ფეხბურთელების გარდა, მეგოლფე სერხიო გარსიამ, ავტომრბოლმა მიხაელ შუმახერმა და სხვა ცნობილმა სპორტსმენებმა მიიღეს. ერთი გუნდი ზინედინ ზიდანის შერჩეული გახლდათ, მეორე კი — როლანდოსი.

ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ „კიფა" მინდორს დაუბრუნდა და პირველი ტაიმი ითამაშა. მას გოლის გატანის ერთი ჩინებული შანსიც ჰქონდა, მაგრამ ლიხტენშტაინელმა მეკარემ პეტერ იელემ საოცრად მოიგერია ბრაზილიელის დარტყმული ბურთი.

„ძალიან კმაყოფილი ვარ. ფანები ბრწყინვალენი იყვნენ, დიდი მადლობა მათ. ასეთი მატჩების მიზანი ის გახლავთ, რომ ხალხს უფრო კარგად გავაგებინოთ, რამდენად აქტუალური და მნიშვნელოვანია სიღარიბის პრობლემა. ჩვენ ცნობილი ადამიანები ვართ, რომლებსაც გვისმენენ და ამას კეთილი მიზნებისთვის ვიყენებთ" — თქვა ნამატჩევს რონალდომ.

ზიდანის გუნდი უპირატესობას ფლობდა და 2:0-ს იგებდა კიდეც. პირველი გოლი თავად „ზიზუმ" გაიტანა საჯარიმო დარტყმით, მეორე კი — როკე ჟუნიორმა. თუმცა, როგორც ამგვარ მატჩებში ხშირად ხდება ხოლმე, შეხვედრა ფრედ დასრულდა. რონალდოს კრებულიდან თავი პარაგვაელმა ხულიო დოს სანტოსმა და ახალგაზრდა ესპანელმა ფორვარდმა ალვარო ნეგრედომ გამოიჩინეს.

**გიორგი ქაქაბაძე**

# რიკელმესთვის იბრძოლებენ

**იტალიური** და ესპანური პრესის ცნობით, იანვარში „ვილიარეალის" არგენტინელ პლეიმეიკერ ხუან რომან რიკელმესთვის [illegible] „ინტერი", „იუვენტუსი" და „რეალი" იბრძოლებენ.

შეგახსენებთ, რომ 29 წლის ფეხბურთელს „ყვითლების" მწვრთნელ მანუელ პელეგრინისთან სერიოზული კონფლიქტი მოუვიდა, რომლის დეტალებიც არ ხმაურდება და უკვე რახანია, რიკელმე „ვილიარეალის" განაცხადშიც არ არის. მიუხედავად ამისა, იგი დიდ ხელფასს იღებს და ეროვნულ ნაკრებში ბრწყინვალედ თამაშობს.

„ამბობენ, რიკელმე ნელიაო, რაც მაცინებს. მისი წყალობით ბურთი ისე ჩქარა მოძრაობს ხოლმე, რომ თვალს ვერ გააყოლებ. იგი ჩინებული პლეიმეიკერია და ძალიან გამიხარდება, თუ „ინტერში" გადმოვა" — თქვა „ნეროაძურის" არგენტინელმა მცველმა ვალტერ სამუელმა.

რიკელმე გასულ ზაფხულს მადრიდის „ატლეტიკოში" გადასვლასთან იყო ახლოს, მაგრამ ტრანსფერი ბოლო მომენტში ჩაიშალა. გავრცელებული ცნობით, „ვილიარეალი" „რომის" გასხვისებაზე ყაბულს იქნება, თუ მის სანაცვლოდ 8-10 მილიონ ევროს გადაუხდიან.

# უი, ბირმინგემს, უიგანს ბრიუსი

„**უიგანის**" მწვრთნელად სტივ ბრიუსი დანიშნეს, რომელიც „ბირმინგემს" თავკაცობდა. ამის შესახებ უიგანელთა პატრონმა დეივ ველანმა განაცხადა და ისიც თქვა, რომ „ბირმინგემს" 3 მილიონი გირვანქა გადაუხადა. ბრიუსამდე სამუშაო შესთავაზეს პოლ ჯუელს, მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი თქვა. „სტივი ერთ-ერთი საუკეთესო ახალგაზრდა მწვრთნელია ინგლისში და მიხარია, რომ ჩვენთან გადმოსვლას დათანხმდა" — აღნიშნა ველანმა. უთავკაცოდ დარჩენილ „ბირმინგემში" მარტინ იოლის დანიშვნა უნდოდათ, რომელიც ცოტა ხნის წინ „ტოტენჰემიდან" გაუშვეს, თუმცა ჰოლანდიელმა კონტრაქტის პირობები დაიწუნა.

# ცოლის გამო ეინდჰოვენში

„**ჰამბურგის**" მწვრთნელმა ჰუბ სტევენსმა დაადასტურა, რომ კლუბთან კონტრაქტს არ გაახანგრძლივებს და სეზონის დასრულების შემდეგ პსვ-ს ჩაიბარებს. ჰოლანდიელის ცოლი ავადაა და გვერდით მეუღლის ყოფნა სურს. „ეს გადაწყვეტილება ოჯახთან ერთად მივიღე — თქვა სტევენსმა — სამშობლოში მუშაობასაც შევძლებ და ცოლსაც მივხედავ".

სტევენსი „ჰამბურგის" მწვრთნელად თებერვალში, თომას დოლის გათავისუფლების შემდეგ დანიშნეს და ჰოლანდიელმა სპეციალისტმა გუნდი მეშვიდე ადგილზე გაიყვანა. „ჩვენ სტევენსის დატოვება გვსურდა, მაგრამ ცხოვრებაში არსებობს უფრო მნიშვნელოვანი რამ, ვიდრე ფეხბურთი" — განაცხადა „ჰამბურგის" აღმასრულებელმა დირექტორმა ბერნდ ჰოფმანმა. პსვ-ს ყოფილი თავკაცი რონალდ კუმანი ამ თვის დასაწყისში „ვალენსიაში" გადაბარგდა, ხოლო ეინდჰოვენური კლუბის მწვრთნელი დროებით იან ვოუტერსი გახდა. ჰუბ სტევენსი პსვ-სთან ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ფრანჩესკო ტოტიმ დაუწერელი დაიბარა




**იტალიის** ნაკრების მწვრთნელმა რობერტო დონადონიმ განაცხადა, ევრო 2008-ის ფინალურ ეტაპზე თამაშის შანსი ალესანდრო დელ პიეროსაც აქვს, ანტონიო კასანოსაც და ყველას, ვინც თავს გამოიჩენსო. მეტიც, ნაკრების კარი ფრანჩესკო ტოტისა და ალესანდრო ნესტათვისაც ღიაა, თუ ისინი „სკუადრა აძურაში" დაბრუნებას ისურვებენო.

ამბობდნენ, ტოტი ფინალურ ეტაპზე წასვლას კი ისურვებს და ნაკრებში დაბრუნდებაო, მაგრამ 31 წლის ფეხბურთელმა ეს აქედანვე გამორიცხა.

„მე დაუწერელი წესებიც ვიცი, რომლებიც ჩვენი ნაკრების დარ შეკრულ გუნდშია და არავისთვის შეურაცხყოფის მიყენებას არ ვაპირებ. თავადაც ხვდებით, როგორი ულამაზო იქნებოდა, ახლა ნაკრებში დაბრუნება რომ მომენდომებინა. „სკუადრა აძურადან" წასვლა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის მერე გადავწყვიტე. ფედერაციამ მთხოვა, კარგად დავფიქრებულიყავი და მეც დავთანხმდი, მაგრამ აზრი არ შემიცვლია. ეს იმაზე არ იყო დამოკიდებული, ევრო 2008-ზე გავიდოდით თუ ვერა. ფედერაციასა და დონადონისთანაც მშვენიერი ურთიერთობა შევინარჩუნე. ბიჭებს კი მთელი გულით წარმატებას ვუსურვებ ევროპის ჩემპიონატზე" — თქვა „რომას" კაპიტანმა.

ნესტას განცხადება ჯერჯერობით არ გაუკეთებია, მაგრამ, სავარაუდოდ, „სკუადრა აძურაში" დაბრუნებაზე „მილანის" მცველიც უარს იტყვის.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი



უგო ალმეიდა

# კლემენტე ფინურ ხავსს ეჭიდება

A ჯგუფი

**სომხეთი — ყაზახეთი**
**პორტუგალია — ფინეთი**
**სერბეთი — პოლონეთი**
**აზერბაიჯანი — ბელგია**

**პორტუგალიას** ქულაც ეყოფა ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად, ფინეთს კი მხოლოდ მოგება სჭირდება.

თავისი ანგარიში აქვს ხავიერ კლემენტეს სერბეთსაც: დარჩენილ ორ მატჩში ექვსი ქულა უნდა აიღოს და პორტუგალიაში ფინელთა გამარჯვებაზეც ილოცებოს. სერბები დღეს ჯგუფიდან გასულ პოლონეთს ხვდებიან, შაბათს კი ყაზახეთთან გადადებულ მატჩს ითამაშებენ, რომელიც 17 ოქტომბერს დიდთოვლობის გამო არ შედგა.

ვარიანტი ასეთია: თუ პორტუგალია შინ წაგებას მოახერხებს, ხოლო სერბეთი ორივე დარჩენილ თამაშს მოიგებს, სამი გუნდი 26-26 ქულას დააგროვებს და ამ სამეულში ურთიერთშეხვედრების მხრივ საუკეთესო მაჩვენებელი კლემენტეს გუნდს ექნება. ასე რომ, სერბეთს შანსი აქვს და ესპანელი მწვრთნელიც ამას ებღაუჭება: „დღეს უნდა მოვიგოთ და ფინეთის იმედად ვიყოთ. მიუხედავად იმისა, გავალთ თუ არა ჯგუფიდან, აქ დარჩენა და მუშაობის გაგრძელება მსურს. ძალიან ნიჭიერი თაობაა, ამ ბიჭებთან მუშაობა სასიამოვნოა. ისეთ მატჩებში დავკარგეთ ქულები, რომლებშიც არ უნდა დაგვეკარგა. ასე ახალგაზრდა, ჯერ გამოუცდელ გუნდს ემართება ხოლმე.“

კლემენტეს დარჩენა უნდა, მაგრამ ქომაგებს და სერბულ მედიას ერთი სული აქვთ, ესპანელს როდის მოხსნიან. უკვე ამბობენ, რომ შესარჩევის დასრულების შემდეგ ნაკრებს სინიშა მიხაილოვიჩი ჩაიბარებს, რომელიც „ინტერში“ რობერტო მანჩინის ასისტენტია.

პორტუგალიელთა მწვრთნელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ სამმატჩიანი სასჯელი მოიხადა და დღეს ფინეთთან კუთვნილ სკამზე დაბრძანდება. მასპინძლებს უგო ალმეიდა დაუშავდათ, ვინც შაბათს სომხეთთან ერთადერთი გოლი გაიტანა. „ვერდერის“ ფორვარდის ნაცვლად სასტარტო შემადგენლობაში, სავარაუდოდ, ნუნუ გომეში ითამაშებს. დაბოლოს: 2002 წლის მარტში ფინეთმა პორტუში პორტუგალიას 4:1 მოუგო.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 13 | 8 | 3 | 2 | 22:10 | 27 |
| პორტუგალია | 13 | 7 | 5 | 1 | 24:10 | 26 |
| ფინეთი | 13 | 6 | 5 | 2 | 13:7 | 23 |
| სერბეთი | 12 | 5 | 5 | 2 | 19:9 | 20 |
| ბელგია | 13 | 4 | 3 | 6 | 13:16 | 15 |
| სომხეთი | 11 | 2 | 3 | 6 | 4:12 | 9 |
| ყაზახეთი | 12 | 1 | 4 | 7 | 10:20 | 7 |
| აზერბაიჯანი | 11 | 1 | 2 | 8 | 6:27 | 5 |

წინა მატჩები

ბელგია — ყაზახეთი 0:0; სერბეთი — აზერბაიჯანი 1:0; პოლონეთი — ფინეთი 1:3; აზერბაიჯანი — ყაზახეთი 1:1; ფინეთი — პორტუგალია 1:1; პოლონეთი — სერბეთი 1:1; სომხეთი — ბელგია 0:1; სერბეთი — ბელგია 1:0; პორტუგალია — აზერბაიჯანი 3:0; სომხეთი — ფინეთი 0:0; ყაზახეთი — პოლონეთი 0:1; სერბეთი — სომხეთი 3:0; პოლონეთი — პორტუგალია 2:1; ბელგია — აზერბაიჯანი 3:0; ყაზახეთი — ფინეთი 0:2; ფინეთი — სომხეთი 1:0; ბელგია — პოლონეთი 0:1; პორტუგალია — ყაზახეთი 3:0; პოლონეთი — აზერბაიჯანი 5:0; ყაზახეთი — სერბეთი 2:1; პორტუგალია — ბელგია 4:0; აზერბაიჯანი — ფინეთი 1:0; პოლონეთი — სომხეთი 1:0; სერბეთი — პორტუგალია 1:1; ყაზახეთი — სომხეთი 1:2; ფინეთი — სერბეთი 0:2; ბელგია — პორტუგალია 1:2; აზერბაიჯანი — პოლონეთი 1:3; ყაზახეთი — აზერბაიჯანი 1:1; ფინეთი — ბელგია 2:0; სომხეთი — პოლონეთი 1:0; ფინეთი — ყაზახეთი 2:1; ბელგია — სერბეთი 3:2; სომხეთი — პორტუგალია 1:1; სერბეთი — ფინეთი 0:0; პორტუგალია — პოლონეთი 2:2; ფინეთი — პოლონეთი 0:0; ყაზახეთი — ბელგია 2:2; პორტუგალია — სერბეთი 1:1; სომხეთი — სერბეთი 0:0; პოლონეთი — ყაზახეთი 3:1; ბელგია — ფინეთი 0:0; აზერბაიჯანი — პორტუგალია 0:2; ყაზახეთი — პორტუგალია 1:2; ბელგია — სომხეთი 3:0; აზერბაიჯანი — სერბეთი 1:6; ფინეთი — აზერბაიჯანი 2:1; პოლონეთი — ბელგია 2:0; პორტუგალია — სომხეთი 1:0

# მოსალოდნელია ჩაის სმა დილამდე

## აგეს ცხოვრება თურქეთზე კიდია

C ჯგუფი

**მალტა — ნორვეგია**
**უნგრეთი — საბერძნეთი**
**თურქეთი — ბოსნია**

**თურქებმა** შაბათს ნორვეგიას მოუგეს და ქულით გაასწრეს. თუ სტამბოლში ბოსნიასაც სამ ქულას დაატოვებინებენ, 70-მილიონიან თურქეთს დღეს ზეიმი არ ასცდება — ფატიჰ თერიმის გუნდი ევროპის ჩემპიონატის ვიზას მიიღებს.

მასპინძლებს დისკვალიფიცირებული მეკარე ვოლქანი დააკლდებათ და მის ნაცვლად ძელებს შუა რუშთუ ჩადგება.

სტუმრებს ფორვარდი ზლატან მუსლიმოვიჩი დაუშავდათ, რომელმაც სარაევოში გამართულ მატჩში ოსმალოებს გაუტანა. მაშინ ბოსნიამ 3:2 მოიგო.

ბოსნიელთა მწვრთნელმა ფუად მუზუროვიჩმა განაცხადა: „ფავორიტი თურქეთია. ემრემ და ნიჰატმა ნორვეგიასთან შესანიშნავად ითამაშეს და კარგ ფორმაში არიან.“

თერიმმა კი თქვა: „ახლა ძალიან გვჭირდება ქომაგების მხარდაჭერა. თანაც მხოლოდ ტრიბუნებიდან კი არა, მთელი ქვეყანა გვერდით უნდა გვედგას.“

ნორვეგიას მალტაში გამარჯვება ალბათ არ გაუჭირდება, თანაც ცალი თვალი სტამბოლისკენ ექნება, რადგან თუ ბოსნია ფრეს გააზერხებს, ევრო 2008-ზე სკანდინაველები გაემგზავრებიან.

თურქებთან წაგების შემდეგ გულდაწყვეტილმა ნორვეგიელთა თავკაცმა აგე ჰარეიდემ დაიჩივლა: „ეს იყო უცუდესი დღე ჩემს ცხოვრებაში. თუ ჯგუფიდან ვერ გავალთ, ფეხბურთიდან სამუდამოდ წავალ.“

ევროპის ჩემპიონ საბერძნეთს უნგრეთთან ოთხი მცველი დააკლდება. დელასი დისკვალიფიცირებულია, გუმასი, სეიტარიდისი და ტოროსიდისი კი ტრავმირებულნი არიან. მათ ნაცვლად, სავარაუდოდ, კაპსისი, ვინტრა და სპიროპულოსი ითამაშებენ.

**რომან თურძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 11 | 9 | 1 | 1 | 23:9 | 28 |
| თურქეთი | 11 | 6 | 3 | 2 | 24:11 | 21 |
| ნორვეგია | 11 | 6 | 2 | 3 | 23:10 | 20 |
| ბოსნია | 11 | 4 | 1 | 6 | 16:21 | 13 |
| მოლდოვა | 12 | 3 | 3 | 6 | 12:19 | 12 |
| უნგრეთი | 11 | 4 | 0 | 7 | 10:20 | 12 |
| მალტა | 11 | 1 | 2 | 8 | 9:27 | 5 |

წინა მატჩები

მალტა — ბოსნია 2:5; უნგრეთი — ნორვეგია 1:4; მოლდოვა — საბერძნეთი 0:1; ნორვეგია — მოლდოვა 2:0; თურქეთი — მალტა 2:0; ბოსნია — უნგრეთი 1:3; მოლდოვა — ბოსნია 2:2; უნგრეთი — თურქეთი 0:1; საბერძნეთი — ნორვეგია 1:0; მალტა — უნგრეთი 2:1; თურქეთი — მოლდოვა 5:0; ბოსნია — საბერძნეთი 0:4; მოლდოვა — მალტა 1:1; ნორვეგია — ბოსნია 1:2; საბერძნეთი — თურქეთი 1:4; უნგრეთი — მოლდოვა 2:0; მალტა — საბერძნეთი 0:1; თურქეთი — ნორვეგია 2:2; ბოსნია — თურქეთი 3:2; ნორვეგია — მალტა 4:0; საბერძნეთი — უნგრეთი 2:0; ნორვეგია — უნგრეთი 4:0; ბოსნია — მალტა 1:0; საბერძნეთი — მოლდოვა 2:1; უნგრეთი — ბოსნია 1:0; მალტა — თურქეთი 2:2; მოლდოვა — ნორვეგია 0:1; ნორვეგია — საბერძნეთი 2:0; ბოსნია — მოლდოვა 0:1; თურქეთი — უნგრეთი 3:0; უნგრეთი — მალტა 2:0; მოლდოვა — თურქეთი 1:1; საბერძნეთი — ბოსნია 3:2; მალტა — მოლდოვა 2:3; თურქეთი — საბერძნეთი 0:1; ბოსნია — ნორვეგია 0:2; მოლდოვა — უნგრეთი 3:0; ნორვეგია — თურქეთი 1:2; საბერძნეთი — მალტა 5:0

შესარჩევი ციკლის დასრულების შემდეგ, ორი ან მეტი გუნდის თანაბარქულიანობის შემთხვევაში, საბოლოო მდგომარეობა ცხრილში განისაზღვრება შემდეგი მაჩვენებლებით:

1. ურთიერთშეხვედრებში დაგროვილი ქულებით
2. ურთიერთშეხვედრებში ბურთების სხვაობით
3. ურთიერთშეხვედრებში გატანილი გოლებით
4. ურთიერთშეხვედრებში სტუმრად გატანილი გოლებით

თუ ეს ვერ გამოავლენს უკეთესს ორ ან მეტ გუნდს შორის, თანაბარქულიანებს დაეთვლებათ ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლები დანარჩენ თანაჯგუფელებთან. ამ შემთხვევაშიც თუ თანაბრობაა, მაშინ დაითვლება ყველა საკვალიფიკაციო მატჩის შედეგი:

1. ბურთების სხვაობა
2. გატანილი გოლები
3. სტუმრად გატანილი გოლები
4. ფეირ პლეის რეიტინგი
5. წილისყრა

# უშიშარი ზავშვები

## კლოზემ უელსი დაასუსტა

D ჯგუფი

**კვიპროსი — ჩეხეთი**
**გერმანია — უელსი**
**სან მარინო — სლოვაკეთი**

**მიროსლავ კლოზეს** აზრით, უელსი კვიპროსზე ოდნავ სუსტია. გერმანიამ შაბათს კვიპროსს 4:0 მოუგო და „ბაიერნის“ ფორვარდმა 36-ე სანაკრებო გოლი მიითვალა. კლოზემ უელსელების გასაგონად თქვა, ამაზე არ გავჩერდები და ვფიქრობ, მეც და ჩემი ამხანაგებიც უფრო მეტის გატანას შევძლებთ, რადგან უელსი კვიპროსზე სუსტ გუნდად მეჩვენებაო. კარდიფულ მატჩში გერმანიამ 2:0 იმარჯვა და კლოზემ იქ დუბლი შეასრულა.

უელსის ნაკრების თავდამსხმელი ფრედი ისტვუდი დაშავდა და მისი თამაში საეჭვოა, ისევე როგორც რობერტ ერნშოუსი. ტრავმირებულნი არიან ჯეისონ კუმასი, კარლ რობინსონი, გარეთ ბეილი და კრეიგ ბელამი.

„ყოველ მატჩის წინ 4-5 კაცი გვიშავდება, რაც საქმეს მირთულებს და გეგმებს მირევს, მაგრამ ახალგაზრდების მეიმედება — თქვა მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა — ირლანდიასთან ექვსმა ახალგაზრდამ ითამაშა და გაამართლეს. მათ გერმანიისაც არ ეშინიათ და უფრო მეტ გამოცდილებასაც მიიღებენ. ირლანდიელებთან ბოლო წუთზე გავათანაბრეთ (2:2) და ამან თავდაჯერებულობა შეგვმატა. ამიტომ გერმანიაშიც იმედიანად მივდივართ. სულ სხვა იქნებოდა, 1:2 რომ წაგვეგო.“

ბუნდესნაკრები მეტოქეს ფრანკფურტში უმასპინძლებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 11 | 8 | 2 | 1 | 25:5 | 26 |
| გერმანია | 11 | 8 | 2 | 1 | 35:7 | 26 |
| ირლანდია | 12 | 4 | 5 | 3 | 17:14 | 17 |
| უელსი | 11 | 4 | 2 | 5 | 18:19 | 14 |
| კვიპროსი | 11 | 4 | 2 | 5 | 17:22 | 14 |
| სლოვაკეთი | 11 | 4 | 1 | 6 | 28:23 | 13 |
| სან მარინო | 11 | 0 | 0 | 11 | 2:52 | 0 |

წინა მატჩები

ჩეხეთი — უელსი 2:1; სლოვაკეთი — კვიპროსი 6:1; გერმანია — ირლანდია 1:0; სლოვაკეთი — ჩეხეთი 0:3; სან მარინო — გერმანია 0:13; უელსი — სლოვაკეთი 1:5; ჩეხეთი — სან მარინო 7:0; კვიპროსი — ირლანდია 5:2; ირლანდია — ჩეხეთი 1:1; უელსი — კვიპროსი 3:1; სლოვაკეთი — გერმანია 1:4; ირლანდია — სან მარინო 5:0; კვიპროსი — გერმანია 1:1; სან მარინო — ირლანდია 1:2; ირლანდია — უელსი 1:0; კვიპროსი — სლოვაკეთი 1:3; ჩეხეთი — გერმანია 1:2; ჩეხეთი — კვიპროსი 1:0; ირლანდია — სლოვაკეთი 1:0; უელსი — სან მარინო 3:0; უელსი — ჩეხეთი 0:0; გერმანია — სან მარინო 6:0; გერმანია — სლოვაკეთი 2:1; სან მარინო — კვიპროსი 0:1; უელსი — გერმანია 0:2; სან მარინო — ჩეხეთი 0:3; სლოვაკეთი — ირლანდია 2:2; სლოვაკეთი — უელსი 2:5; კვიპროსი — სან მარინო 3:0; ჩეხეთი — ირლანდია 1:0; სლოვაკეთი — სან მარინო 7:0; კვიპროსი — უელსი 3:1; ირლანდია — გერმანია 0:0; ირლანდია — კვიპროსი 1:1; სან მარინო — უელსი 1:2; გერმანია — ჩეხეთი 0:3; უელსი — ირლანდია 2:2; გერმანია — კვიპროსი 4:0; ჩეხეთი — სლოვაკეთი 3:1

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

## თვითმფრინავიდან ჩამოდით, ლოთებო!

F ჯგუფი

**ესპანეთი — ჩრდ. ირლანდია**
**დანია — ისლანდია**
**შვედეთი — ლატვია**

**სესკ ფაბრეგასი** თანაგუნდელებს აფრთხილებს, ჩრდილოეთ ირლანდიასთან იოლ მოგებას ნუ ელითო. ესპანეთმა შაბათს შინ შვედეთი 3:0 დაამარცხა და ავსტრია-შვეიცარიის გზას დაადგა. ჩრდილო-ირლანდიელებს კი ჯგუფიდან გასვლის მცირე შანსიღა აქვთ. საამისოდ ესპანეთს ხომ უნდა სძლიონ, ლატვიამ კი შვედეთი უქულოდ უნდა დატოვოს, რაც ფრიად საეჭვოა.

„შარშან ბელფასტში 2:3 წავაგეთ და რევანში გვსურს — თქვა ფაბრეგასმა — გარდა ამისა, პირველი ადგილიც უნდა შევინარჩუნოთ. მეტოქე ხელწამოსაკრავი რომ არაა, ამაზე ის ბელფასტური მატჩიც მეტყველებს. ამიტომ ყურადღება გვმართებს და მოწინააღმდეგის შეუფასებლობა არ გამოგვადგება."

ლუის არაგონესი დღევანდელ მატჩში, სავარაუდოდ, იმ ბიჭებსაც ათამაშებს, რომლებიც შვედებთან სათადარიგოებში დარჩნენ, ან შეცვლაზე შევიდნენ.

ორშაბათს კი მადრიდის აეროპორტში 60 ჩრდილოირლანდიელი გალეშილი ფანი თვითმფრინავში არ აუშვეს. ისინი ლას პალმასში მიფრინავდნენ, მატჩი იქ გაიმართება. ავიაკომპანია „იბერიას" წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუმრები საზიზღრად იქცეოდნენ და თვითმფრინავის კარი ამიტომ მიუხურეს. გალეშილთაგან უმეტესმა ბოლოში მიიხადა და გონზე მოსვლის მერე ლას პალმასში გაამგზავრეს, ხოლო ოთხმა მობილიშება იყარა. მთლიანობაში კი მატჩს დაახლოებით 4 ათასი ბრიტანელი ქომაგი დაესწრება და გუნდს გაამხნევებს.

სწორედ მათი ეიმედება დევიდ ჰილის, რომელმაც შესარჩევში 13 გოლი გაიტანა. „ჩვენ გვაქვს შანსი და გვყავს დიდებული გულშემატკივრები. ესპანელთა დამარცხება ძნელია, მაგრამ შეუძლებელი არაა."

სეზონის დაწყებამდე ორლანდოელები ტრაბახობდნენ, ჩვენი დუაიტ ჰოვარდი მთელ აღმოსავლეთში ყველაზე მაგარი მეფარეაო. სხვები კი პასუხობდნენ, ჯერ „ბოსტონში" კევინ გარნეტი ნახეთ და პირი მერე მოაღეთო. დაიწყო სეზონი და გამოჩნდა, რომ ჰოვარდი მართლაც მძლავრი ცენტრია და თუ არ აღემატება, არც ჩამოუვარდება გარნეტს. თანაც კვირას მათი გუნდები რომ შეეტაკნენ ერთმანეთს, ჰოვარდისამ აჯობა და თანაც ამან გარნეტზე 10-ით მეტი ქულა გამოიტანა მოედნიდან.

„ბოსტონთან" ჯახი „ორლანდოსთვის" კვირის განმავლობაში მესამე შეხვედრა იყო და სამივე მისი გამარჯვებით დასრულდა. სამივე მძლავრად ჩაატარა ჰოვარდმაც. ასე რომ, არც ის გაჰკვირვებია ხალხს, ნბა-მ იგი აღმოსავლეთში კვირის მოთამაშედ რომ დაასახელა. კვირის განმავლობაში 211-სანტიმეტრიანი და 122-კილოგრამიანი გოლიათი საშუალოდ 23,3 ქულას, 13,3 მოხსნასა და 2,8 დაფარებას აგროვებდა. თანაც მან 35 ქულა უყელა ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდს", „ნიუ ჯერსისთან" კი 19 მოხსნა გააკეთა და გახდა ნბა-ს ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე, რომელმაც კარიერაში 3 000 მოხსნა დააგროვა.

დასავლეთის რჩეულზე სათქმელი ბევრიც არაფერია. „დენვერ ნაგიტსმა" კვირის განმავლობაში გამართული სამივე თამაში მოიგო და რჩეულადაც მისი მოთამაშე ალენ აივერსონი დაასახელეს (26,7 ქულა).

**კვირის სიმბოლური ხუთეული („სარბიელის" ვერსია):** კრის პოლი (ნიუ ორლეანი), ალენ აივერსონი (დენვერი), კერონ ბატლერი (ვაშინგტონი), დევიდ ვესტი (ნიუ ორლეანი), დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო)

## საქართველოს ჩემპიონატი

ნახევარფინალი. 20 ნოემბერი. „შევარდენი“

**ყოჩები 18:9 ლიგამუსი**

ყოჩები: გეგენავა, კ. ელო[illegible], დ. კაჭარავა, ადანაია, ს. ნიჟარაძე (კალმახელიძე), მალაღურაძე, ხელაძე; ყალ[illegible]ავა, გ. ნიჟარაძე (ჭავჭავაძე), ასეიშვილი, გელაშვილი, არჩუაშვილი, გენებაშვილი, ბრეგვაძე, კობახიძე

ელ: ყალიჩავა, დ. კაჭარავა, ასეიშვილი; ჩს: მალაღურაძე

ლიგამუსი: ასათიანი, მარსაგაშვილი, ქავთარაძე, ბერძენიშვილი, გუგავა, კვინიხიძე, ლვინჯილია; ხეჩიკოვი, ტურაშვილი, მალალდაძე (პეტრიაშვილი), კახიანი, ნიშნიანიძე, ყურაშვილი, გუჯარაიძე, მაისურაძე

პს: კვინიხიძე

მსაჯი: გია ჯავახიშვილი

# კარნახი თამაშამდე და თამაშის დროს

## ყოჩებმა ლიგამუსს ლოკომოტივი დაავიწყეს

მაშინ, როდესაც საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი გოკა გაბაშვილი საქართველოს პრეზიდენტთან ერთად სპორტულ ფედერაციების თავკაცებს ხვდებოდა, მამამისი კოტე გაბაშვილი „შევარდენის“ სტადიონზე საქართველოს ჩემპიონატის ნახევარფინალს უყურებდა, მისი ფავორიტი გუნდი „ლიგამუსი“ კი „ყოჩებთან“ მარცხდებოდა.

კოტე გაბაშვილი ადრეც გვინახავს „ლოკომოტივის“ თამაშებზე, ასე ერქვა „ლიგამუსს“ ერთი თვის წინ, მაგრამ ახლა მისი სტადიონზე ყოფნა სხვა კუთხით გახდა სალაპარაკო და ტრიბუნებისთვის მთავარ თემად იქცა. საქმე ისაა, რომ გუშინდელი ნახევარფინალი ერთი დღით ადრე უნდა გამართულიყო, მაგრამ რაგბის კავშირის ოფიციალური ცნობით, თარიღმა ერთი დღით უკან გადაიწია, რაკი უკვე გაუქმებული საგანგებო ვითარების გამო განრიგში იძულებით მოხდა ცვლილებები. „ყოჩების“ ქომაგების თქმით კი, პირადად კოტე გაბაშვილს უთხოვია, მატჩი ერთი დღით გადადეთ, „ლიგამუსმა“ მომზადება რომ მოასწროსო. „ყოჩებს“ უარი უთქვამთ, თუმც მატჩი მაინც გადაიდო. ოფიციალურად ეს ვერსია ვერავინ დაგვიდასტურა, თუმც რაგბის კავშირის რამდენიმე ჩინოსანმა პირად საუბარში ამ ამბავზე არც ჰო თქვა და არც უარი. ასე რომ, ისედაც დაძაბული ნახევარფინალური მატჩი უფრო დაიძაბა და დაწყებამდეც ცხადი გახდა, დანდობა და მარტო რაგბი რომ არ იქნებოდა. აქვე ვთქვათ, რომ კოტე გაბაშვილმა ნამატჩევს შეძლო რამდენიმე ლიგამუსელის დამშვიდება, როდესაც ისინი საშეჯიბრო კომიტეტის თავკაც ნიაზ მამრიკიშვილს კარგი საქმისათვის ნაღდად არ ემებდნენ. ლიგამუსელთა აზრით, მამრიკიშვილმა მსაჯზე ზეწოლა მოახდინა და მეორე ტაიმის დასაწყისში მომხდარ ეპიზოდს ახსენებდნენ. მაშინ მსაჯი გია ჯავახიშვილი მატჩის შეწყვეტას აპირებდა, ვითარებას ვეღარ ვაკონტროლებო, მამრიკიშვილმა კი უთხრა, ვინც ზედმეტად ხმას ამოიღებს, ყველა გააგდეო. ლიგამუსელებმა ეს მხოლოდ თავიანთ თავზე მიიღეს.

მატჩი კი თითქმის ყოველ ათ წუთში ჩერდებოდა, ძირითადად გაწევ-გამოწევისა და საქმის გარჩევის გამო. ასეთი შემთხვევა ზუსტად თორმეტი დავთვალეთ. იყო ერთი ამბავი — რა გაბლატავებს, ვინ გაგაბლატავა, წელში გაგწყვეტ, კისერს მოგტეხ, ბიჭო და ეგეთები. კიდევ კარგი დაკა-დაკა არ ამტყდარა, თორემ პრეზიდენტთან სტუმრობის გამო არც კავშირის უფროსობა იყო სტადიონზე და არც გამშველებელი ჩანდა ვინმე.

ერთხელ თამაში იმის გამო შეწყდა, რომ გუნდები ვერ შეთანხმდნენ, რომელი ბურთით ეთამაშათ. ორივეს თავიანთი ბურთებით უნდოდათ თამაში და სანამ გაარკვევდნენ, ვისი იყო უკეთესი, მატჩიც შეწყდა. ისე, რაგბის კავშირში ერთი ბურთი როგორ არ მოინახა, რომ ნახევარფინალზე მიიტანონ და გუნდებს ერთმანეთი ამის გამო მაინც არ დააჭმევინონ.

ამ ნერვებისმწყვეტ და ძვლებისმტვრეველ ჯახში იყო სახალისო მომენტებიც. მეორე ტაიმში „ყოჩების“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა გუგა გეგენავამ თავისიანებს მითითება ტრიბუნიდან მისცა, ესა და ეს გააკეთეთო, ლიგამუსელმა ლექსო გუგავამ კი ღიმილით გახედა და გუგა, გუგა კარნახს არ ვართო. ამ მომენტისთვის „ყოჩებს“ კარნახი აღარ სჭირდებოდათ, მეორე სუნთქვა ჰქონდათ გახსნილი და მეტოქე მასსავე მოედანზე ჰყავდათ გამოკეტილი. ერთი ეგ იყო, ბოლო მომენტში ან შეტევაში ჯარიმდებოდნენ, ანაც სწორ გაგრძელებას ვერ პოულობდნენ და მეტოქის ლელოში ვერა და ვერ შედიოდნენ. ისიც ვთქვათ, რომ „ყოჩების“ დამრტყმელმა ლაშა მალაღურაძემ ხუთი ჯარიმა და სამი გარდასახვა ააცილა. მიზანი რომ გაესწორებინა, „ყოჩები“ პირველი ტაიმს 0:6 არ წააგებდნენ, მით უმეტეს, საამისო არაფერი სჭირდათ. მეორე ტაიმში კი „ლიგამუსი“ გატყდა. ათ წუთში ორი ლელო გაუშვა, როგორც იქნა, მალაღურიძემ ჯარიმაც გაიტანა და თავისიანები 13:9 დააწინაურა. ამ მომენტისთვის მოედანზე „ყოჩების“ მოთამაშე მწვრთნელი ნიკო ჭავჭავაძე შევიდა და ბურთთან პირველივე შეხებით სალელოე შეტევაც წამოიწყო. „ყოჩების“ მესამე გარდაუსახავი ლელო პრაქტიკულად გამარჯვებისა იყო, რადგან ხუთ წუთში „ლიგამუსი“ ცხრაბურთიან ჩამორჩენას ვერანაირად ვერ გააბათილებდა და შეხვედრაც ასე დასრულდა. ნამატჩევს კი ვნებები კარგა ხანს კიდევ დუღდა, თუმცა ვითარება მეტი-კრივის გარეშე განიმუხტა.

ფინალში „ყოჩები“ „ლელოს“ შეხვდებიან, მატჩის თარიღი კი ამ დღეებში დაზუსტდება. რაც მთავარია, ფინალს ფრანგი პატრიკ ვეშამბერი იმსაჯებს, იქამდე კი ქართველ არბიტრებს სემინარს ჩაუტარებს.

**ბაჩო სვანიძე**



[illegible] ფოტო



# მშვილდი ბიომედშიც მოზიდეს

## ბათუმი ევროპის პირველობას უმასპინძლებს

**საქართველოში სპორტის საკითხებზე გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და სემინარებს თითზე თუ დაითვლის კაცი. ამიტომ მსგავსი ღონისძიებების მასპინძლობა ჩვენს სპორტულ ცხოვრებაში ერთიორად მნიშვნელოვნად ითვლება. ერთ-ერთი ასეთი სემინარი გუშინ თბილისის ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულება „ბიომედში“ დაიწყო და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობის ხელშეწყობით და ეგიდით ტარდება. მისი სტუმრები სომხეთისა და საქართველოს მშვილდოსანთა მწვრთნელები არიან, თემა კი გახლავთ მშვილდოსანთა ფსიქოლოგიური მომზადება და წვრთნის თანამედროვე მეთოდები.**

**ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ საქართველოს მშვილდოსანთა ეროვნული ფედერა-ციის პრეზიდენტ თენგიზ ტერუნაშვილსა და გენერალურ მდივან არტემ სანიშვილს**

— **როგორ მოხერხდა ამ სემინარის მასპინძლობა?**

*არტემ სანიშვილი:* ამ სემინარის გამართვის თაობაზე საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს თხოვნით რომ მივმართეთ, უმალ მხარი დაგვიჭირეს და თავის მხრივ, საერთაშორისო ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამის მესვეურებს დაუკავშირდნენ. მათაც მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ამსტერდამელი ექსპერტი ანდრე კორლაარი გამოგზავნეს, რომელიც ერთკვირიან სემინარს გამართავს. ამასთან, ამ სემინარის მასშტაბი გაიზარდა და ამიერკავკასიის რეგიონული სტატუსი მიიღო.

— **მაინცდამაინც „ბიომედი“ რატომ მასპინძლობს ამ სემინარს?**

*თენგიზ ტერუნაშვილი:* საქართველოს მშვილდოსანთა ნაკრების ექიმი, ქალბატონი მანანა ჩახნაშვილი „ბიომედის“ თანამშრომელია და მისი დამსახურებაა, რომ ჩვენი გუნდის წევრები ტრავმების გამო დიდი ხნით არ ცდებიან. სწორედ მისი ინიციატივაა, რომ ამ სემინარს „ბიომედი“ მასპინძლობს და აქაური პირობებით ძალზე კმაყოფილებიც ვართ.

— **სემინარისთვის მწვრთნელები როგორ შეარჩიეთ?**

*არტემ სანიშვილი:* ეს სემინარები მეორე-მესამე დონისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ამა თუ იმ ქვეყნის ნაკრები გუნდების მწვრთნელთათვის ტარდება. ამას წინათ ჩვენი პირველი დონის მწვრთნელები დავით თევდორაძე და იამზე ტალახაძე ანტალიაში გამართულ სემინარზე მივავლინეთ. მსგავს სემინარებზე მწვრთნელთა მივლინება, რა თქმა უნდა, ხარჯებთანაა დაკავშირებული და ამიტომ იქ შეზღუდული რაოდენობით ვაგზავნით სპეციალისტებს, აქ კი შესაძლებლობა გვეძლევა, რომ თითქმის ყველა ჩვენმა მწვრთნელმა აიმაღლოს კვალიფიკაცია. ამ სემინარს თბილისის, ქუთაისის, აჭარისა და აბაშის წარმომადგენლები ესწრებიან.

— **დარბაზში ვხედავთ ჩვენი ნაკრების მშვილდოსნებსაც, ქრისტინე ესებუასა და ხათუნა ნარიმანიძეს, რომლებიც პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიანტები არიან. ვხედავთ ასმათ დიასამიძესაც, ვისაც პეკინის ოლიმპიადაზე მოსახვედრად შანსი ჯერ კიდევ არ დაუკარგავს. ამ სამეულს მწვრთნელობა ხომ არ განუზრახავს?**

*თენგიზ ტერუნაშვილი:* ჯერ არა, სამივე კვლავ სარბიელზე რჩება და საპეკინოდ ემზადება, მაგრამ აქ განხილული საკითხების მოსმენა არც მათ აწყენთ. აქ მიღებული ცოდნა მათ უთუოდ გამოადგებათ და ეს სემინარი მათთვისაც დიდი სკოლაა. სამომავლოდ უფრო საინტერესო გეგმები გვაქვს, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა.

— **მაინც რას აპირებთ?**

*არტემ სანიშვილი:* საერთაშორისო ფედერაციას საქართველოში მსოფლიოს თასის ეტაპის მასპინძლობა ვთხოვეთ, მაგრამ მათ ევროპის იუნიორთა პირველობა მოგვცეს. ეს შეჯიბრება გაისად ბათუმში ჩატარდება. ეს უკვე სერიოზული განაცხადია და ისიც გვითხრეს, ვნახოთ, როგორ უმასპინძლებთ ამ შეჯიბრს და უფრო დიდი მასშტაბის ტურნირებზე მერე ვილაპარაკოთო. გვჯერა, რომ თავს არ შევირცხვენთ, ეს ყოველივე კი უთუოდ საქართველოში მშვილდოსნობის პოპულარიზაციას და მის განვითარებას შეუწყობს ხელს.

**ავთანდილ ტყვიშელი**

# ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა, ფედერერის რეკორდები...



როჯერ ფედერერმა მორიგი ფანტასტიკური სეზონი ბრწყინვალედ დაასრულა და წლის შემაჯამებელი ტურნირი კარიერაში მეოთხედ მოიგო. მიუხედავად იმისა, რომ ფედერერმა წლეულს „მხოლოდ" 8 ტიტული მოიპოვა და თავისთვის უჩვეულოდ ბევრი, 9 მატჩი წააგო, ამ სეზონში ალპელმა მაინც ბლომად რეკორდები მოხსნა და გააუმჯობესა. ლამის ისე იყო, რომ კორტზე ყოველ გასვლასთან ერთად დიადი შვეიცარიელი ახალ-ახალ მიღწევებს უმიზნებდა. ამის ფონზე, უინტერესო არ უნდა იყოს, თვალი გადავავლოთ ფედერერის პროფესიულ კარიერას — როდის დაიწყო, როგორ განვითარდა და რანაირად დადგა ახალი ერა ჩოგბურთში. ამიტომ ქრონოლოგიურად შემოგთავაზებთ დიადი ალპელის კარიერას დიდ ჩოგბურთში და ყურდღებას მის ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევებზე გავამახვილებთ

## 1998

პროფესიულ ჩოგბურთში ფედერერის კარიერა სწორედ აქედან იწყება. ამ წელს შვეიცარიელმა იუნიორთა შორის თითქმის ყველაფერი მოიგო — იმარჯვა იუნიორთა უიმბლდონზე ერთეულთა თანრიგშიც (ფინალში ირაკლი ლაბაძე დამარცხა) და წყვილებშიც (მეწყვილედ ოლივიე როხუსი ჰყავდა), გავიდა აშშ-ს ღია პირველობის ფინალში (დავიდ ნალბანდიანთან დამარცხდა) და ავსტრალიის ნახევარფინალში. იუნიორთა შორის გამოსვლა მაიამის „ორანჟ ბოულის" გამარჯვებით დაასრულა, სადაც ფინალში გილერმო კორიას სძლია და ამით თავის ტოლებში ნომერ პირველ ჩოგნად იქცა.

პარალელურად ფედერერმა დიდი ჩოგბურთიც დააჭაშნიკა. მისი დებიუტი მშობლიურ გშტაადში შედგა, სადაც არგენტინელ ლუკას არნოლდ კერთან დამარცხდა. ამ წელს შვეიცარიელმა კიდევ სამ ტურნირზე ითამაშა და საუკეთესო შედეგს ტულუზაში მიაღწია — მეოთხედფინალს უწია. რეიტინგში წელიწადი ფედერერმა 301-ე საფეხურზე დაასრულა და 26 370 დოლარი გამოიმუშავა.

## 1999

მოიგო ბრესტის ჩელენჯერი. პირველად კარიერაში გავიდა ATP-ის ტურნირის ნახევარფინალში (ვენაში) და გახდა ყველაზე ახალგაზრდა მეჩოგნე (18 წლის და 4 თვის) რომელმაც წელიწადი საუკეთესო ასეულში დაასრულა (65-ე ადგილზე). მისი მონაგარი 193 844 დოლარი გახლდათ.

## 2000

ითამაშა თავის პირველ ორ ფინალში (მარსელსა და ბაზელში), თუმც ორივეში დამარცხდა. ანტონიო დი პასკუალესთან წააგო მატჩი მესამე ადგილისთვის სიდნეის ოლიმპიადაზე. წელიწადი შვეიცარიის ნომერ მეორე მეჩოგნედ დაასრულა, რეიტინგში კი 35-ე საფეხურამდე ალზევდა. მისმა ფულადმა მონაგარმა 449 154 დოლარი შეადგინა.

## 2001

მილანში მოიგო თავისი პირველი ტიტული. პირველად გავიდა სლემტურნირის მეოთხედფინალში — ეს „როლან გაროსზე" მოხდა. შემდეგ კი უიმბლდონზე, როგორც თავად ამბობს, თავისი ყველაზე დიდი გამარჯვება მოიპოვა, როცა მეოთხე წრეში პიტ სამპრასი წააქცია ხუთ სეტში, თუმც მეოთხედფინალში ტიმ ჰენმანთან დამარცხდა. მოიგო ორი ტიტული წყვილებში (როტერდამი და გშტაადი). იქცა შვეიცარიის პირველ ჩოგნად, რეიტინგში კი მე-13 საფეხურამდე ალზევდა. 773 591 დოლარი მოინაგრა.

## 2002

ითამაშა ხუთ ფინალში, რომელთაგან სამში იმარჯვა (სიდნეი, ვენა და ჰამბურგის მასტერსი). ორი ტიტული მოიგო წყვილებშიც (როტერდამი და მოსკოვი). რეიტინგში მე-6 პოზიციამდე დაწინაურდა — ასე მაღლა აფრენა მანამდე არც ერთ შვეიცარელ კაც მეჩოგნეს არ ღირსებოდა. ასევე პირველი შვეიცარიელი იყო, 1988 წლისა და იაკობ ჰლაშეკის შემდეგ, წლის შემაჯამებელ ტურნირზე რომ ითამაშა, სადაც ჯგუფში ყველა შეხვედრა მოიგო, მაგრამ ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონ ლეიტონ ჰიუიტთან დამარცხდა. წლიურმა მონაგარმა პირველად გადააჭარბა მილიონს — 1 722 097 დოლარი შეადგინა.

## 2003

ითამაშა 9 ფინალში და ტურში ყველაზე მეტი, 7 ტიტული მოიგო. კარიერაში პირველად იმარჯვა სლემტურნირზე. ეს უიმბლდონზე მოხდა. პირველი ტურნირი მოიგო აშშ-ს ტერიტორიაზეც — მასტერსის თასზე იხეირა ჰიუსტონში. უტიტულოდ არც წყვილებში დარჩენილა — მაიამის მასტერსსა და ვენაში იჩემპიონა. წელიწადი რეიტინგში მეორე ადგილზე დაასრულა და 4 000 680 დოლარი გამოიმუშავა.

## 2004

აქედან იწყება „მხიარული როჯერის" ბატონობა ჩოგბურთში. ფედერერმა უკანასკნელ 20 წელიწადში ერთ-ერთი ყველაზე დომინანტური სეზონი ჩაატარა. მოიგო 11 ტიტული, აქედან სამი სლემტურნირი (ავსტრალიისა და აშშ-ს ღია პირველობები და უიმბლდონი) და სამიც მასტერსი. მოგებული 11 ტიტული საუკეთესო შედეგი გახლდათ 1985 წლის შემდეგ, როცა იგივე ივან ლენდლმა შეძლო. ფედერერმა მოიგო ჩატარებული შეხვედრების 92,5 პროცენტი, რაც ასევე საუკეთესო შედეგია იმავე ლენდლის 1986 წლის მაჩვენებლის შემდეგ. დაამარცხა ტოპ-ათეულის ყველა წარმომადგენელი, თავად კი მათთან ერთხელაც არ წაუგია. 2003 წლიდან მოყოლებული, ზედიზედ 13 ფინალი მოიგო, რითაც ბიორნ ბორგსა და ჯონ მაკენროის გაუტოლდა (გადაასწრო), რომელთაც ზედიზედ 12 ფინალი დაესრულებინათ გამარჯვებით. თუმც ამ წელსვე როჯერმა განიცადა კარიერის ყველაზე მწარე მარცხი (ასევე მისი აღიარებით) — ათენის ოლიმპიადაზე მეორე წრეში ტომაშ ბერდიხთან წააგო. თებერვალში რეიტინგში პირველ საფეხურზე ავიდა და მას შემდეგ საჩოგბურთო ოლიმპიდან არც ჩამოსულა. გამოიმუშავა 6 357 547 დოლარი და სულ ცოტა დააკლდა პიტ სამპრასის რეკორდამდე — ამერიკელმა 1997-ში 6 498 311 დოლარი მოინაგრა.

## 2005

ფედერერი ზედიზედ მეორედ ახერხებს 11 ტიტულის მოგებას. აქედან ორი სლემტურნირი (უიმბლდონი და აშშ-ს ღია პირველობა) და ოთხი მასტერსია. ისტორიაში მხოლოდ მეხუთე ჩოგბურთელად იქცა, რეიტინგის პირველი საფეხურიდან მთელი კალენდარული წლის განმავლობაში რომ არ ჩამოსულა. მანამდე იგივე ჯიმი კონორსს, ივან ლენდლს, პიტ სამპრასსა და ლეიტონ ჰიუიტს გაეკეთებინათ. სეზონი მოგება-წაგებების ფანტასტიკური მაჩვენებლით — 81-4 (მოგებების 95,3 პროცენტით) დაასრულა. [illegible] წაგებული ფინალების რაოდენობა 24-ზე შეწყდა [illegible] ფინალში დავიდ ნალბანდიანთან დამარცხებით. გამოაცხო 35-მატჩიანი მოგებათა სერია, რაც ტომას მუსტერის 1995 წლის შედეგის გამეორება იყო. კარიერაში მოგებული ტიტულების რაოდენობით ყველა დროის მეჩოგნეთა შორის 28-ედან უცბად მე-15 ადგილამდე ალზევდა. ზედიზედ მეორე წელი 6 მილიონზე მეტი გამოიმუშავა, კარიერის მონაგარმა კი 20 მილიონი შეადგინა.

## 2006

17 ნათამაშები ტურნირიდან 16-ის ფინალში გავიდა, მოიგო კარიერაში უბევრესი — 12 ტიტული. კარიერაში მეორედ, სეზონში სამ სლემტურნირზე (ავსტრალიისა და აშშ-ს ღია პირველობები და უიმბლდონი) და ოთხ მასტერსზე იმარჯვა. სეზონში მოგებული 12 ტიტული რეკორდული იყო 1995 წლის ტომას მუსტერის შედეგის შემდეგ. როდ ლეივერის შემდეგ პირველი მეჩოგნე შეიქნა, ვინც სეზონში ოთხივე სლემტურნირის ფინალში ითამაშა. იმავე ლეივერთან ერთად ერთადერთი ჩოგბურთელია, ორ სხვადასხვა სეზონში სამი სლემტურნირის მოგება რომ მოახერხა. როჯერმა ამ წელს მოიგო კარიერაში უბევრესი, 92 შეხვედრა. გამოიმუშავა სარეკორდო თანხა, 8 მილიონზე მეტი.

## 2007

ითამაშა 16 ტურნირზე, რომელთაგან 12-ის ფინალში გავიდა და „მხოლოდ" 8 მოიგო. ზედიზედ მეორედ ითამაშა სეზონის ოთხივე სლემტურნირის ფინალში და კარიერაში მესამედ სამ მათგანში გაიმარჯვა (ავსტრალიისა და აშშ-ს ღია პირველობები და უიმბლდონი). უცვლელად ლიდერობს რეიტინგს უკვე 200 კვირის განმავლობაში — წინა რეკორდსმენ ჯიმი კონორსს (160 კვირა) ჯერ კიდევ თებერვალში გადაასწრო. სეზონი მოგება-წაგებების 68-9 მაჩვენებლით დაასრულა. გააუმჯობესა თავისივე რეკორდი და 10 130 620 დოლარი გამოიმუშავა, საკარიერო მონაგარმა კი უკვე 38 707 078 დოლარს უწია.

**ქახა ლომჯაშვილი**

# ძველი და ახალი, ანუ პიტ-როჯერიანი

**ნოემბერი** ისედაც მდიდარი იყო მნიშვნელოვანი საჩოგბურთო მოვლენებით — სამიოდ დღის წინ კაცთა წლის შემაჯამებელი ტურნირი დასრულდა, მომავალი კვირის ბოლოს კი დევისის თასის ფინალი გაიმართება.

თუმც ჩოგბურთის ბევრი მოყვარული შემოდგომის ბოლო თვეს მაინც სხვა მოვლენის გამო ელოდა. საქმე იმაშია, რომ აზიაში ექს და მოქმედი პირველი ნომრების, პიტ სამპრასისა და როჯერ ფედერერის საჩვენებელი მატჩების გამართვა იყო დაგეგმილი.

აქამდე ისინი ერთმანეთს მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ — 2001 წელს უიმბლდონის მეოთხე წრეში და მაშინ მსოფლიოს უპირობო პირველი ნომერი სამპრასი ახალგაზრდა ფედერერმა ხუთსეტიან ჯახში დასცა — 7:6 5:7 6:4 6:7 7:5. შემდეგ წელს პიტი ჩოგბურთიდან წავიდა და „მხიარულ როჯერს" მეტად აღარ შეხვედრია.

სწორედ ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ ამ ორი დიდი მეჩოგნის, რომელთა ანგარიშზე ჯამში მოგებული 26 სლემტურნირი მოდის, თუნდაც საჩვენებელი შეხვედრა დიდ ყურადღებას იქცევდა.

მათი პირველი მატჩი გუშინ გაიმართა. სამპრასი და ფედერერი ერთმანეთს სეულში დაუპირისპირდნენ. კორეის დედაქალაქში ჩასვლისას ამერიკელმა განაცხადა, რომ შვეიცარიელთან თანაბრად სათამაშოდ მზად იყო:

„მართალია, სისწრაფეც მომაკლდა და ვერც ძველებურად ვთამაშობ, მაგრამ მთლიანობაში მშვენიერ ფიზიკურ ფორმაში ვარ და ვფიქრობ, როჯერს პრობლემებს შევუქმნი".

სამპრასმა პირობა პირნათლად შეასრულა და ფედერერი მაგრად აწვალა. პირველი სეტი თანაბარ ბრძოლაში დაიწყო, მაგრამ თავიდან გააქტიურება ამერიკელს დაეტყო, რომელმაც მეექვსე გეიმში ბრეიკი გააკეთა და 4:2 დაწინაურდა. ფედერერმა აქ გამოიღვიძა და შემდეგ ოთხ გეიმში სამაგალითო თამაში აჩვენა, რითაც სეტი სათავისოდ დაასრულა — 6:4.



სამპრასს დაღლა დაეტყო, რაც გასაკვირი სულაც არ გახლავთ — ბოლოს და ბოლოს, მასსა და ფედერერს შორის 11 წელია სხვაობა, თან ამერიკელი აგერ უკვე მეხუთე წელია, დიდი ჩოგბურთიდან წავიდა და შვეიცარიელს ტემპში ვეღარ აჰყვა. პიტმა მაინც იომა და არც ერთი ქულა არ დათმო უბრძოლველად, თუმც „მხიარულმა როჯერმა" მეორე სეტში უფრო იოლად იმარჯვა — 6:3.

ამ კვირაში სამპრასი და ფედერერი მაკაოსა და კუალა-ლუმპურშიც დადგებიან ერთმანეთის პირისპირ. ასე რომ, ჩოგბურთის გურმანებს კიდევ ორი სანახაობა ელით.

**ქახა ლომჯაშვილი**

# ორნი ბადეში

**ესპანურ** ბარსელონაში ITF-ის ეგიდით მიმდინარე ქალთა 10-ათასიანი შეჯიბრის ძირითად ბადეში ორი ქართველი ჩოგბურთელი ითამაშებს — მანანა შაფაქიძე და სოფო ქვაცაბაია.

შაფაქიძეს ეს უფლება მაღალი რეიტინგის წყალობით ერგო, ხოლო ქვაცაბაიამ საკვალიფიკაციო ეტაპზე იმარჯვა. კვალიფიკაციის მესამე და გადამწყვეტ შეხვედრაში სოფომ, ისევე როგორც წინა კვირას მალიორკაში, ესპანელ მარტა ესპიგადო-დელგადოს მოუგო სამ სეტში — 3:6 6:3 6:4.

ძირითადი ტურნირის პირველ წრეში ქვაცაბაია კიდევ ერთ ორგვარიან ესპანელს, 27 წლისა და რეიტინგში 907-ე ადგილზე მყოფ ფრანჩესკა სინტეს-მარტინს შეხვდება, ხოლო შაფაქიძეს მეტოქედ, სულაც სამგვარიანი ესპანელი, 18 წლისა და ურეიტინგო ანა ბოადა-პლადე-ლორენსი ერგო.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# მიხეილ სააკაშვილი: საქართველომ მსოფლიო უნდა ნახოს



**ფეხბურთისა** და სპორტის სხვა სახეობების ფედერაციის ხელმძღვანელებთან გუშინდელი შეხვედრისას საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა: „ჩემი პრეზიდენტობის მეორე ვადაში ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იქნება მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების გასვლა. ჩვენ რაც შეძილება, კარგი შედეგი უნდა ვაჩვენოთ“.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, სპორტის განვითარება სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი უნდა გახდეს. მან აღნიშნა, რომ 90-იან წლებში ქვეყანაში სპორტული ინფრასტრუქტურა განადგურდა, რამაც ცნობილ და ნიჭიერ სპორტსმენთა ქვეყნიდან წასვლა გამოიწვია: „დასანანია, რომ სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ სანეევი საქართველოში კი არა, სპორსტმენებს ავსტრალიაში წვრთნის“.

„საქართველოს მთავრობამ უნდა იმუშაოს საიმისოდ, რომ ახალგაზრდები ნარკოტიკებს მოაცილოს და სპორტით დააინტერესოს. ტალანტებს ყურადღება და გაფრთხილება სჭირდება“ — ბრძანა სახელმწიფოს მეთაურმა.

ჭადრაკი

# 100 ათასი ყაიმებში ჩაიღვარა

**მოსკოვში** მიხაილ ტალის სახელობის ტურნირი დასრულდა.

ვლადიმირ კრამნიკმა ბოლოსწინა ტურში გაინაღდა პირველობა და დასკვნით შეხვედრას მისთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ვასილ ივანჩუკს დაუნდობელი ბრძოლა გაუმართა და საბოლოოდ მე-60 სვლაზე დაუზავდა. თამაში თანაბარ ტემპში მიმდინარეობდა და ერთ მომენტში რუსმა მცირე უპირატესობაც მოიპოვა, თუმც აღარ გარისკა და ყაიმი ამჯობინა.

მეორე ადგილისთვის ერთბაშად ხუთი დიდოსტატი იბრძოდა. მათ შორის კი ყველაზე კარგი შანსი ალექსეი შიროვს ჰქონდა, რადგანაც კონკურენტებს ნახევარი ქულით უსწრებდა.

შიროვი მეორე ადგილის მეორე პრეტენდენტ დმიტრი იაკოვენკოს შავებით დაუპირისპირდა. რუსს მხოლოდ მოგება სჭირდებოდა და მეტოქეს აგრესიული თამაში შესთავაზა. მეცხრე სვლაზე მან გრძელი როქი გააკეთა, d ხაზზე ლაზიერ-ეტლი დასვა და მარჯვენა ფლანგიდან შეუტია. ესპანელმა თავდაცვა გააძლიერა, თეთრებს მძიმე ფიგურებით დაარტყა, უპირატესობა მოიპოვა და 28-ე სვლაზე მასპინძელი ყაიმზე დაიყოლია.

ტურნირის საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარი იყო და აქედან კრამნიკს 30 ათასი ერგო.

**ლუკა გეგეჭკორი**

IX ტური

| | | |
|---|---|---|
| ბორის გელფანდი (ისრაელი) | 0,5:0,5 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 0,5:0,5 | გატა კამსკი (აშშ) |
| დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი) | 0,5:0,5 | ევგენი ალექსეევი (რუსეთი) |
| ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 0,5:0,5 | ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) |
| შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5 | ალექსეი შიროვი (ესპანეთი) |

საბოლოო მდგომარეობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ვლადიმირ კრამნიკი | 6,5 | 6. დმიტრი იაკოვენკო | 4,5 |
| 2. ალექსეი შიროვი | 5 | 7. ვასილ ივანჩუკი | 4 |
| 3. მაგნუს კარლსენი | 4,5 | 8. შაჰრიარ მამედიაროვი | 4 |
| 4. ბორის გელფანდი | 4,5 | 9. გატა კამსკი | 4 |
| 5. პეტერ ლეკო | 4,5 | 10. ევგენი ალექსეევი | 3,5 |

ხელბურთი

# რვას პლუს ოთხი და ოთხი უცნობი




**ჩემპიონთა** ლიგის ჯგუფური ტურნირის ბოლოსწინა ტურმა მეორე ეტაპზე გასული კიდევ ოთხი კლუბის ვინაობა გაარკვია. ერთი კვირის წინ მერვედფინალში გასვლაგანაღდებულ რვეული საფრანგეთის „მონპელიე“, დანიის „გოგ სვენდბორგ გუდმე“, რუსეთის „ჩეხოვსკიე მედვედი“ და სლოვენიის „გორენიე ველენიე“ შეუერთდნენ.

ლიგის 2003 წლის ჩემპიონმა ფრანგმა ხელბურთელებმა, ისევე როგორც სლოვენიელებმა, წაგების მიუხედავად უწიეს მიზანს, რადგან მათი უშუალო კონკურენტებიც დამარცხდნენ. „გუდმეს“ საამისოდ ფრეც ეყო, ხოლო მოსკოვის ოლქის „დათვებმა“ ერთ დროს თანამემამულე უკრაინელები დატორეს.

ამ ტურში სარეკორდო ანგარიშიც აღინიშნა. ჩემპიონთა ლიგის ექვსგზის გამარჯვებულმა „„ბარსელონამ“ ჩეხეთის ჩემპიონი „ბანიკ კარვინა“ 18-ბურთიანი სხვაობით გაანადგურა.

მეექვსე „სიკვდილის“ ჯგუფში, კიდევ ერთმა ექს-ჩემპიონმა (2004) სლოვენიის ქალაქ ცელიეს „პივოვარნა ლაშკომ“ მეტად საჭირო ორი ქულა კი მოიპოვა „ვესპრემის“ ძლევით, თუმც მელუდეების მერვედფინალში გასვლა ჯერაც სათუოა, რადგან კვირას დასკვნით მატჩში ჯგუფის ლიდერთან, წაუგებელ „გუმერსბახთან“ მოუწევთ შეჭიდება.

ბომბარდირთა შორის კვლავ ორხელისუფლებიანობაა, თუმც ცხრილს სათავეში უკვე სხვა დუეტი უდგას — სლოვაკმა რადოსლავ კოზლოვმა („ტატრან პრეშოვი“) და შვეიცარიელმა მანუელ ლინიგერმა („კადეტენ შაფჰაუზენი“) ბოლო ტურში ათ-ათჯერ გაიტანეს და ჯამში 39-39 გოლი დაუგროვდათ.

**გია ახალაძე**

ჩემპიონთა ლიგა. კაცები

ჯგუფური ეტაპი. მეხუთე ტური

A ჯგუფი

ბარსელონა (ესპანეთი) 43:25 ბანიკ კარვინა (ჩეხეთი)

ივრი (საფრანგეთი) 36:32 ზარია ასტრახანი (რუსეთი)

ბარსელონა 10 ქულა, ივრი 6, ზარია 4, ბანიკი 0

B ჯგუფი

კილი (გერმანია) 32:24 მონპელიე (საფრანგეთი)

კონსტანცა (რუმინეთი) 32:30 ჰამარბი (შვედეთი)

კილი 10, მონპელიე 6, ჰამარბი 2, კონსტანცა 2

C ჯგუფი

ზაგრები (ხორვატია) 25:26 ადემარ ლეონი (ესპანეთი)

შაფჰაუზენი (შვეიცარია) 36:30 ვარდარ სკოპიე (მაკედონია)

ადემარ ლეონი 9, შაფჰაუზენი 5, ზაგრები 3, ვარდარი 3

D ჯგუფი

გოგ გუდმე (დანია) 29:29 პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი)

A1 ბრეგენცი (ავსტრია) 30:30 ტატრანი (სლოვაკეთი)

პორტლენდი 8, გუდმე 6, ბრეგენცი 3, ტატრანი 3

E ჯგუფი

ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი) 28:19 ZTR ზაპოროჟიე (უკრაინა)

ვიბორგი (დანია) 28:30 ჰამბურგი (გერმანია)

ჰამბურგი 9, მედვედი 7, ზაპოროჟიე 2, ვიბორგი 2

F ჯგუფი

პივოვარნა ლაშკო (სლოვენია) 28:23 ვესპრემი (უნგრეთი)

გუმერსბახი (გერმანია) 34:22 ვალური (ისლანდია)

გუმერსბახი 9, პივოვარნა 5, ვესპრემი 4, ვალური 2

G ჯგუფი

სიუდად რეალი (ესპანეთი) 29:24 ფლენსბურგი (გერმანია)

დრამენი (ნორვეგია) 33:33 ზაგლებიე (პოლონეთი)

სიუდად რეალი 10, ფლენსბურგი 4, დრამენი 3, ზაგლებიე 3

H ჯგუფი

პიკ სეგედი (უნგრეთი) 30:23 გორენიე (სლოვენია)

მეშკოვ ბრესტი (ბელარუსი) 30:24 სარაევო (ბოსნია)

პიკ სეგედი 10, გორენიე 6, ბრესტი 2, სარაევო 2

# ტექნიკოსებმა პაუზა აზერბაიჯანში შეავსეს

**საქართველოს** ხელბურთელთა ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს შესვენება აქვთ და მესამე წრის გამართვის თარიღის დადგენას ელოდებიან. პაუზით „სტუ-თელავმა“ კარგად ისარგებლა და აზერბაიჯანში 13-15 ნოემბერს „ჰეიდარ ალიევის“ სახელობის საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა. მეზობლებმა ქართველები თავად მიიწვიეს და ოთხგუნდა ტურნირი გამართეს, სადაც ადგილობრივი „დინამოს“ გარდა, უკრაინული „შახტარი“ და ირანული „კერმანიც“ გამოვიდნენ. ჩვენებმა „შახტარს“ და „კერმანს“ აჯობეს, მასპინძლებთან კი მინალური სხვაობით 26:27 დამარცხდნენ. როგორც შევიტყვეთ, წაგებაში „წვლილი“ მსაჯებსაც შეუტანიათ, რადგან აზერებს გვარიანად სწყალობდნენ.

ბექა ორჯონიკიძე („სტუ-თელავის“ მწვრთნელი): კარგი შეკრება გამოგვივიდა. კმაყოფილი ვარ ბიჭების თამაშით. მთავარი აქცენტი მომზადებაზე გვქონდა გაკეთებული და იქ ყოფნის დრო მაქსიმალურად გამოვიყენეთ. მართალია, მოგებაც გვინდოდა, მაგრამ არა უშავს. ახალგაზრდებსაც მივეცით თავის გამოჩენის შანსი და მათაც გაგვიმართლეს.

მეზობლებმა პირველი ადგილი მხოლოდ ურთიერთშეხვედრაში ნაჩვენები შედეგით წაგვართვეს. არადა, მათთან მოგებას ნამდვილად ვიმსახურებდით...

**ლექსო მაისურაძე**

# სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

2007 წლის 21 დეკემბერს გაიმართება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, გთხოვთ, 20 დეკემბრამდე გაიაროთ წინასწარი რეგისტრაცია. სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციაში გაწევრიანების მსურველებს ვთხოვთ, ასევე 20 დეკემბრამდე წარმოადგინონ შესაბამისი საბუთები.

ველით თქვენს წინადადებებს კონფერენციის დღის წესრიგთან დაკავშირებით. წესდების შესაბამისად, ასოციაციის ხელმძღვანელ ორგანოებში ასარჩევად კანდიდატურები შეგიძლიათ წარმოადგინოთ 6 დეკემბრამდე.

თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 49 ა. ტელეფონი: 42 12 88, 23 26 34. მობ. 877 48 88 44.

**სსჟა-ს აღმასკომი**

სუმო



# კვარტეტი, ოქტეტი და შავი ზღვა

**ლევან** ცაგურიამ ფუკუოკას ბაშოზე მეექვსედ მოიგო და მინიმუმამდე შემცირებული დადებითი ბალანსი ისევ ორ ქულამდე გაზარდა. გუშინ ქართველმა კოკაიმ დოჰიოდან 35 წლის ექსსეკივაკე ტამაკასუგა გადაუძახა.

მეათე ტურის მთავარი მოვლენა კი ლიდერი სეკიტორის, ოძეკი ტიოტაიკაის მარცხი გახდა და ნოემბრის ბაშოზე ერთპიროვნული მმართველობაც დასრულდა. ლიდერის მდევრების ხასიათის გამოკეთებაზე დასავლეთის მესამე მაეგაშირამ, ტოკიტენკუმ იზრუნა. ამ 31 წლის დევკაცმა ნოემბრის ბაშოზე ტიოტაიკაიმდე სამ ოძეკის დახედა ზემოდან, მაგრამ ყველაზე ხმაურიანი მაინც გუშინდელი ვაკაცობა გამოდგა.

ლიდერის წაფორხილებით იოკოძუნა ხაკუხომ, ოძეკი კოტომიცუკიმ და რიგითმა მაეგაშირა ბალტმა მშვენივრად ისარგებლეს და ბაშოს დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე იმპერატორის თასთან ყველაზე ახლოს ახლა ოთხი სეკიტორი დგას რვა-რვა ქულით.

ამ კვარტეტს უკან შვიდქულიანი ოქტეტი მისდევს, მათ შემდეგ კი კოკაის ჯგუფია. დღეს ჩვენებური რიგით მაეგაშირა ტოიოხიბიკის დაეჭიდება.

**ოთარ ჩალლაძელიძე**

ᲞᲠᲘᲕᲘ

# ძველი ამბავი
## ტაისონი, ციხე, სუფთა ჰაერი


მოსამართლე ქალბატონმა მაიკ ტაისონს 24 საათი აქმარა

**მსოფლიოს** ყოფილი ჩემპიონი მაიკ ტაისონი მორიგ შარში გაეხვია, მაგრამ იოლად გადარჩა. რამდენიმე დღის წინ ის პატრულმა დააკავა, მანქანას ნარკოტიკებით გაბრუებული მართავდა. ტაისონს თან კოკაინი აღმოაჩნდა და დიდი შანსი იყო, ნარკოტიკების ტარებისთვის მისთვის სერიოზული ბრალდება წაეყენებინათ, მაგრამ მხოლოდ 24 საათით ჩაამწყვდიეს და 3,6 ათასი დოლარით დააჯარიმეს.

„მადლობელი ვარ, რომ მოსამართლემ გარეთ დამტოვა — ამბობდა ტაისონი მოგვიანებით — ცოტა უცნაური წელი იყო ჩემთვის, ბოლოხანს თითქოს რაღაც გაურკვეველ გარემოში, ბურუსში ვცხოვრობდი და ძალიან მიხარია, ახლა სუფთა ჰაერზე რომ ვარ. დიდი მადლობა ყველას, ვინც მე მხარს მიჭერდა და მძიმე პერიოდის გადატანაში მეხმარებოდა — ადვოკატებს, ოჯახს, მეგობრებს, ქომაგებს... ახლა მინდა, ოჯახში დავბრუნდე და ძველ მაიკად ვიქცე“.

**კოტე ყორშია**

ავტორბოლა

# ახალი ბლოკი: ტოიოტა და გლოკი



**იაპონურ** ავტოგიგანტ „ტოიოტას“ საპირველფორმულო გუნდმა ოფიციალურად გამოაცხადა 25 წლის ტიმო გლოკთან კონტრაქტის გაფორმების შესახებ. გერმანელი მრბოლი გაისად იტალიელ იარნო ტრულისთან ერთად დაიცავს ამომავალი მზის ქვეყნის საჯინიბოს ღირსებას.

„მომავლის ფორმულის“ — გრან პრი ორის წლევანდელი სერიის გამარჯვებული გლოკი „სამეფო რბოლებში უცხო კაცი არ იქნება. მან 2004 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში „ჯორდანის“ ბოლიდით ოთხ ეტაპზე გაირბოლა და ორი ქულის მოპოვებაც შეძლო.

„პანასონიკ-ტოიოტაში“ ტიმოს მისვლაზე რამდენიმე თვე ლაპარაკობდნენ. როგორც იტყვიან, მოსახდენი მოხდა და აშკარად პერსპექტიული პილოტი თანამემამულე რალფ შუმახერის ადგილს დაიკავებს. 32 წლის პატარა შუმის საგაისო პერსპექტივა კი ჯერჯერობით ბურუსითაა მოცული.

მძლეოსნობა

# გაიარეთ!
## გაიმ და ფელიქსმა ამერიკა გაიყვეს






**მძლეოსნობის** სეზონი დასრულებულია და საუკეთესოების დასახელების დრო ახლოვდება. იააფ-ი 2007 წლის რჩეულ ქალ-ვაჟს სულ მალე დაასახელებს, მანამდე კი ამერიკელებმა გამოავლინეს თავიანთი საუკეთესოები. წლის უძლიერეს მძლეოსან კაცად დასახელდა სპრინტერი ტაისონ გაი, ქალებში კი ეს პატივი 21 წლის ასევე სპრინტერ ელისონ ფელიქსს ხვდა წილად.

ლეგენდარული ჯესი ოუენსის სახელობის პრიზს 25 წლის გაი ნამდვილად სხვებზე, თუნდ ჯერემი უორინერზე მეტად იმსახურებდა. აგვისტო-სექტემბერში იაპონურ ოსაკაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე მან ორგზის გაასწრო მსოფლიოს უსწრაფეს ადამიანს, იამაიკელ ასაფა პაუელს — ჯერ 100 მეტრის ფინალში, შემდეგ კი 4 X 100 ესტაფეტაში, ამას 200 მეტრზე მოგებული ოქროც დაურთო და ასე, სამგზის ჩემპიონი დაბრუნდა სამშობლოში. „ბევრი ტურნირი მაქვს მოგებული, წლეულს მსოფლიოს ჩემპიონიც გავხდი, მაგრამ ცხოვრებაში ასე არც ერთი ჯილდო არ გამხარებია. ჯესი ოუენსი ჩემი კერპია. ბედნიერი ვარ, მისი სახელობის ჯილდოს რომ ვიღებ და ქვეყნის საუკეთესო მძლეოსნების რიგებში ვდგები“ — ამბობდა ამერიკელი დაჯილდოებაზე.

ელისონ ფელიქსიც მსოფლიოს ჩემპიონატზე მძლავრი გამოსვლისთვის დააფასეს. ოსაკაში მან 200 მეტრი და 4 X 400 ესტაფეტა მოიგო.

**კოტე ყორშია**

სროლა

# ნინო სალუქვაძე: უკმაყოფილო ვარ

**გუშინ** და დღეს ოლიმპიური ჩემპიონის, ნინო სალუქვაძის ტირში მსროლელთა საქართველოს 'თასი თამაშდება.

გუშინ 10 მეტრიდან პნევმატური იარაღით სროლაში ქალებმა გაარკვიეს უძლიერესთა ვინაობა. როგორც ველოდით, საუკეთესო შედეგი ნინო სალუქვაძეს ჰქონდა (381 ქულა), მეორე ნინო უჩაძე გახლდათ (375), მესამე ადგილი კი სოფო აროშიძემ (373) დაისაკუთრა.

ნინო სალუქვაძე შეჯიბრის დონით უკმაყოფილო დარჩა: ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობა რომ არა, ნიგერიიდან 12, ხოლო აზერბაიჯანიდან 5 სპორტსმენს ველოდებოდით. ბოლო მომენტში მათმა ფედერაციებმა თავის სპორტსმენებს აქ გამომგზავრების უფლება არ მისცეს. შედეგებით უკმაყოფილო ვარ. ეს მაჩვენებლები საერთაშორისო ტურნირებზე არაფერს ნიშნავს. ამის გამოა, რომ ქულების ცენზი დავაწესეთ, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება საზღვარგარეთ ტურნირებში წამსვლელთა ვინაობა. 19-22 დეკემბერს თბილისის ტურნირი გველის, სადაც ორი ჯგუფი იქნება — 20 წლამდე და ზემოთ. მომავალ წელს, იანვარში მიუნხენის ტურნირი გაიმართება, მერე კი თებერვლის ბოლოს შვეიცარიაში ევროპის ჩემპიონატი, თუმცა მანამდე შეკრებაც უნდა მოვაწყოთ. იქ უკვე ნაკრების საბოლოო შემადგენლობა მოიყრის თავს.

**ლეშო მაისურაძე**

# რეგულარული ჩემპიონატი

19 ნოემბერი

**ატლანტა 4:3 ტამპა**
*1:0 0:2 2:1 1:0 (ოვერტაიმში)*
1:0 ლარსენი (4), 1:1 პლავსჩი (34), 1:2 ლეკავალიე (35), 1:3 სენ ლუი (51), 2:3 ლიტლი (55), 3:3 კოვალჩუკი (58), 4:3 უაიტი (63)

**სენტ ლუისი 2:1 ნეშვილი**
*0:0 1:0 1:1*
1:0 კარია (30), 2:0 ბოისი (47), 2:1 ბონკი (59)

**მონრეალი 2:4 ოტავა**
*0:2 1:1 1:1*
0:1 იესი (4), 0:2 ნილი (9), 1:2 ლატანდრესი (31), 1:3 პიტლი (35), 1:4 კელი (42), 2:4 ჰიგინსი (45)

**რეინჯერსი 1:2 აილენდერსი**
*0:0 1:2 0:0*
0:1 ფედოტენკო (21), 0:2 ვასიჩეკი (26), 1:2 როჟივალი (27)

**დალასი 3:0 ლოს ანჯელესი**
*0:0 1:0 2:0*
1:0 ოტი (39), 2:0 ჰაგმანი (54), 3:0 ლეჰტინენი (55)

**ვაშინგტონი 3:4 ფლორიდა**
*1:2 0:1 2:1*
0:1 ბუტი (4), 1:1 ლაიხი (6), 1:2 კრეპსი (20), 1:3 იოკინენი (34), 1:4 იოკინენი (37), 2:4 სიომინი (49), 3:4 კლარკი (54)

# ისევ ლეკავალიე




**ზედიზედ** მეორე კვირაა, პირველ ვარსკვლავად „ტამპას" ლიდერ ვენსან ლეკავალიეს ასახელებენ. უმც კანადელმა სუპერვარსკვლავმა თავისი ბრწყინვალე თამაშით ეს პატივი აბსოლუტურად დაიმსახურა.

წინა კვირას ჩატარებულ ორ შეხვედრაში ლეკავალიემ 8 ქულის (4+4) დაგროვება შეძლო. ჯერ იყო და, „კაროლინასთან" შეხვედრაში ხუთი ქულა (3+2) მიითვალა, რის შემდეგაც არც „ვაშინგტონს" დააკლო და დედაქალაქურ გუნდს ჯერ თავად გაუტანა, შემდეგ კი ორჯერ პარტნიორებს უპასა. ამით ლეკავალიემ „ტამპას" რეკორდი დაამყარა — ზედიზედ შვიდი მატჩია, იგი ყინულს ერთზე მეტი ქულით ტოვებს. ამასთან ერთად ლეკავალიეს სეზონის მონაგარმა 32 ქულა შეადგინა (13+19), რითაც ის ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა, გადაასწრო რა „დეტროიტის" ლიდერ ჰენრიკ ზეტერბერგსა და „პიტსბურგელ" ვუნდერკინდ სიდნი კროსბის.

მეორე ვარსკვლავობა „სან ხოსეს" რუს კიპერ ევგენი ნაბოკოვს ერგო, რომელმაც თავის გუნდს ოთხიდან სამი შეხვედრა მოაგებინა. ამ მატჩებში რუსი საშუალოდ 0,96 შაიბას უშვებდა და დარტყმულის 95,9 პროცენტს იგერიებდა. ნაბოკოვმა ასევე ორი შათაუტიც მიითვალა.

მესამე ვარსკვლავად კი „ნეშვილის" ჩეხი შემტევი მარტინ ერატი დასახელდა. მან წინა კვირას 6 ქულა (3+3) მიითვალა, თუმც ყველაზე მთავარი ისაა, რომ მის მიერ გატანილი შაიბებიდან ორი გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა.

**კახა ლომჯარიძე**

# რობინსონის 19 მონრეალის მეცამეტეა




**გუშინ** მონრეალში ლარი რობინსონის დღე იყო. 18-წლიანი შესვენების შემდეგ ფრანკოკანადური პუბლიკა კვლავ შეეგება ტაშით თავის ყოფილ კერპს — ამ ყველაფრის მიზეზი ის იყო, რომ „კანადიენსმა" 70-80-იანი წლების დინასტიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი დააფასა და მისი 19 ნომერი უკვდავყო.

რობინსონი ნჰლ-ის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო უკანახაზელად არის მიჩნეული, რომელმაც კარიერის განმავლობაში ბლომად პირადი თუ გუნდური ჯილდოები მოიხვეჭა. „დიდი ჩიტი" „მონრეალში" 1972-89 წლებში თამაშობდა და ამ პერიოდში სტენლის თასი ექვსეჯერ მოიგო, ორჯერ კი ლიგის საუკეთესო მცველად დასახელდა (1976-77 და 1979-80 სეზონებში).

რობინსონი „მონრეალის" ყველა დროის საუკეთესო მცველთა ტრიოს — მის გარდა სერჟ სავარი და გი ლაპოინტი შედიოდნენ — უცვლელი წევრი იყო, რომელთა მთავარი დამსახურებაცაა „კანადიენსის" მაშინდელი წარმატებები. ეს გუნდი 1976-79 წლებში უბრალოდ შეუჩერებელი იყო და აკი მოიგეს ზედიზედ ოთხი სტენლის თასიც მოიგო.

1976-77 წლებში კი რობინსონმა სულაც ფანტასტიკურად ითამაშა და სეზონი +120 ნაყოფიერების კოეფიციენტით დაასრულა (შედარებისთვის: დღეისთვის სეზონის +30-ით გალევაც კი ბრწყინვალე შედეგად ითვლება), რაც ლიგის ისტორიაში მეორე შედეგია. რობინსონი ამავე სეზონის პლეი ოფის უძვირფასეს მოთამაშედ დაასახელეს.

კარიერა რობინსონმა „ლოს ანჯელესში" დაასრულა, სადაც სამი სეზონი უეინ გრეცკის მხარდამხარ თამაშობდა. ლარის წარმატებები არც სამწვრთნელო საქმიანობაში მოჰკლებია. თავის ექვს სტენლის თასს მან კიდევ სამი მიუმატა, ოღონდ „ნიუ ჯერსისთან" ერთად. 1995 წელს კი რობინსონი ჰოკეის დიდების დარბაზში შეიყვანეს.

ასეთი დამსახურების კაცი თავისთავად იმსახურებდა დაფასებას და „მონრეალმაც" თავის ექსლეგენდას პატივი გუშინ მიაგო, როცა გუნდის კაპიტანმა საკუ კოივუმ და მისმა თანაშემწეებმა — ალექსეი კოვალიოვმა და კრისტოფერ ჰიგინსმა რობინსონის 19 ნომრიანი მაისურა გამოიტანეს, იუბილარს გადაეხვივნენ და ლარისთან ერთად ის „ბელ სენთერის" თაღქვეშ გამოკიდეს.

რობინსონი მეცამეტე ჰოკეისტია, „მონრეალმა" ასე რომ დააფასა. აქამდე იგივე პატივი ჟაკ პლანტს (№ 1), დუგ ჰარვის (2), ჟან ბელივოს (4), ბერნარ ჟოფრიონს (5), ჰოუი მორენცს (7), მორის რიშარს (9), გი ლეფლერს (10), დიკი მურს (12), ივან კურნუაიეს (12), ანრი რიშარს (16), სერჟ სავარსა (18) და კენ დრაიდენს (29) ერგოთ.

„ჩემთვის უდიდესი პატივია ის, რომ ჩემი მაისურა ამ დიდებულ კომპანიაში მოხვდა" — განაცხადა თვალცრემლიანმა რობინსონმა.

ამ კომპანიას უახლოეს მომავალში კიდევ ერთი სახელი შეემატება — 23 თებერვალს „მონრეალის" ახლანდელ გენერალურ მენეჯერ ბობ გეინის დააფასებენ და მის 23-ნომრიან მაისურას უკვდავყოფენ.

**კახა ლომჯარიძე**

# ფული, ბევრი ფული... ტაიგერ ვუდსმა რვა ნული ჩაიწერა

**2007 წლის** ამოწურვამდე თითქმის თვენახევარი რჩება, მაგრამ მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების შეგროვება-ჩამოწერით ცნობილმა ამერიკულმა ჟურნალმა Forbes-მა ადრეულად შეადგინა თავისი სია.

უმდიდრეს ადამიანებში თვალსაჩინო ადგილი უკავიათ სპორტსმენებს, მათ საერთაშორისო ამქარს კი კვლავ და კვლავ ტაიგერ ვუდსი ლიდერობს. მულატი ამერიკული მეგოლფე აგერ მეხუთედ ხდება წლის ყველაზე შემოსავლიანი სპორტსმენი, თან იმხელა უპირატესობით, რომ საეჭვოა, უახლოეს მომავალში მასზე სქელჯიბიანი გამოჩნდეს ვინმე.

რეკლამებით და ჰონორარებით ვუდსმა 2007 წელს ზუსტად 100 მილიონი იშოვა. მისი შემოსავლების ოდენობა კარგა ხანია, არავის აკვირვებს. ვიეტნამის ომის მონაწილის და ტაილანდელი გლეხქალის შვილმა პირველად ერთი წლისამ მოჰკიდა ყვანჯს ხელი, ორი წლისა უკვე თამაშობდა, სამისამ ბავშვთა ტურნირიც კი მოიგო. კომერციულ ტურნირებში წარმატებებმა უკვე 12 წლის ასაკში მოუტანა პირველი მილიონი. სრულწლოვანი რომ გახდა, იმ წელს 5 მილიონი იშოვა და თან მეგოლფეთა რეიტინგში პირველ ადგილზე აღზევდა. ახლა 31 წლის გახლავთ და 500-ზე მეტი ტურნირი აქვს მოგებული. ნებისმიერი შეჯიბრის ორგანიზატორებს 2-3 მილიონთან უწევთ „გამოთხოვება", როდესაც ტაიგერ ვუდსს სათამაშოდ უხმობენ.

ეს წელი განსაკუთრებით ბარაქიანი გამოდგა ვუდსისთვის. წელიწადში 100 მილიონი რეკორდია მისთვისაც და ნებისმიერი სპორტსმენისთვისაც. და ნუ ვიკითხავთ, რაში ხარჯავს ამ ფულს... მას აქვს ვილები ცივ და თბილ ადგილებში — ვაიომინგში, ფლორიდასა და კალიფორნიაში, აგრეთვე შვედეთშიც. ცოლად ჰყავს შვედი ფოტომოდელი ელინ ნორდეგრენი და ამ წყვილს წლეულს შვილიც შეეძინა.

გოლფი რომ ერთ-ერთი უმდიდრესი სპორტია, ამას ფორბსის ათეულში კიდევ ერთი მეგოლფის ყოფნა ადასტურებს. ცხადია, სიას არ აკლია არც მოკრივე და არც კალათბურთელი. მოტორიზებული სპორტის წარმომადგენლებიც არიან. მოკლედ, თავადაც იხილავთ. ჩვენ კი ის ვთქვათ, რომ ბლომად ფულს იხვეჭენ „გადამდგარი" ვარსკვლავებიც. აქტიური სპორტიდან წავიდნენ მიხაელ შუმახერი და მაიკლ ჯორდანი, მაგრამ პირველმა 2007 წელს რეკლამებით 36 მილიონი ჩაიჯიბა, მეორემ კი საბანკო ანგარიში 31 მილიონით შეივსო.

ელიტაში კვლავ არ ჩანს მდედრი. ისე კი ქალებში ფინანსურად ყველაზე მეტად იხეირა რუსმა ჩოგბურთელმა მარია შარაპოვამ, რომელმაც 2007 წელს, ძირითადად რეკლამების წყალობით, 23 მილიონს მოუყარა თავი.

**კოტე ყორშია**



**2007 წლის უმდიდრესი სპორტსმენები**

| | | |
|---|---|---|
| 1 ტაიგერ ვუდსი (აშშ) | გოლფი | 100 000 000 |
| 2 ოსკარ დე ლა ჰოია (აშშ) | კრივი | 43 000 000 |
| 3 ფილ მიკელსონი (აშშ) | გოლფი | 42 200 000 |
| 4 კიმი რაიკონენი (ფინეთი) | ფორმულა 1 | 40 000 000 |
| 5 დევიდ ბექჰემი (ინგლისი) | ფეხბურთი | 33 000 000 |
| 6 კობი ბრაიანტი (აშშ) | კალათბურთი | 32 900 000 |
| 7 შაკილ ონილი (აშშ) | კალათბურთი | 31 900 000 |
| 8 რონალდინიო (ბრაზილია) | ფეხბურთი | 31 000 000 |
| 9 ვალენტინო როსი (იტალია) | მოტორბოლა | 30 000 000 |
| 10 ალექს როდრიგესი (აშშ) | ბეისბოლი | 29 000 000 |
| 10 როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | ჩოგბურთი | 29 000 000 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნინო სილაგაძე, ნუკრი ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სლავა გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge